ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

„ტირილით და თაღლითობით თავი „გაიბანძა" — მამუკა მდინარაძე მიხეილ სააკაშვილზე


გვ.4


გვ.3

## სკანდალური სიმართლე კოვიდზე

სამშაბათი, 28 თებერვალი, 2023 №41 (9077) ფასი: 80 თეთრი

# „ქართული ოცნება" მონებით აკომპლექტებს შეიარაღებულ ძალებს"



გვ.3

ვახტანგ მეგრელიშვილი: „ჩვენ ვაბრუნებთ ახლა სავალდებულო გაწვევას ჯარში, თანაც ძველი წესებით. ანუ შლაგბაუმთან საყარაულო სამსახურში, იძულებით შრომას. რაც თავისი შინაარსით არის ტრეფიკინგი"




გვ.3

მურმან დუმბაძე: „მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ „ქართული ოცნება" საკუთარ თავთან მარტო დარჩა"

# „ძალიან მკაცრი პროტესტის დროა!"

## „უკრაინის მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ოკუპანტია!"


გვ.2



თორნიკე შარაშენიძე: „30 წელია აგენტებზე ლაპარაკმა წაგვჭამა თავი"

## „დასავლეთისთვის ნაციონალური მოძრაობა ჩამოწერილია"


გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „კეზერაშვილის ფინანსების მფარველობა თავის თავზე აიღო უკრაინის ელიტამ"


გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ შევძელით ის, რომ 2021 წელი დავასრულეთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით"

### ისტორიული შედეგი — საქართველოს ნაკრები მსოფლიოზე ითამაშებს



გვ.7


გვ.5

### შეიარაღებულ მძარცველს მსხვერპლის ქათმის ჭამა დააპატიმრებად დაუჯდა


გვ.7

### ზვიგენის თავდასხმას ტურისტი ემსხვერპლა

1993230720223

2 გია ვოლსკი: „დემარშით ევროკავშირის ქვეყნებმა სააკაშვილის გარემოცვას მიმართონ"

4 თურქ ბიზნესმენს, გალიფ ოზთურქს სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

5 ფიტნეს-მოდელს ვარჯიში მოძალადის მოგერიებაში დაეხმარა

6 რატომ ამხილეს ამერიკელებმა ჩინეთი?!

# „უკრაინის მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ოკუპანტია!“

## თორნიკე შარაშენიძე: „30 წელია აგენტებზე ლაპარაკმა წაგვჭამა თავი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? კვირის ბოლოს რუსთაველზე მრავალათასიანი მიტინგი ვიხილეთ. ეს ადასტურებს, რომ ქართველი ხალხის არჩევანი ნამდვილად არის ევროკავშირი და ასევე ღიად უჭერენ მხარს უკრაინას? ხელისუფლებისგან განსხვავებით...***

– ცალსახაა, ყველაფერს მეტყველებს ფაქტები. ხალხი ორჯერ გავიდა ასეთი რაოდენობით. ერთი ევროკავშირის მხარდასაჭერად და მეორედ, უკრაინის მხარდასაჭერად. ამით ნათქვამია ყველაფერი. რაც არ უნდა ფანტაზიებში მიდიოდეს ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი, ხალხს ეს ფანტაზიები აღარ უნდა, მობეზრდა. უკრაინის მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ოკუპანტია და ის უნდა დასუსტდეს და დამარცხდეს. ევროკავშირის მხარდაჭერა კი ნიშნავს, რომ ხალხს უნდა უკეთესი ცხოვრება, ეკონომიკურად უკეთესი და უფრო თავისუფალ ქვეყანაში. ამით ყველაფერი ნათქვამია. ზედმეტი ველოსიპედის გამოგონება ოპოზიციის მხრიდან საჭირო არ არის.

***– ხელისუფლება რას ცდილობს, საით მიჰყავს ამ დროს ქვეყანა? 25 თებერვალს ისეთი განცხადება გამოაქვეყნეს, რომ სიტყვა რუსეთი საერთოდ არ იყო ნახსენები. რა ხდება?***

– როგორც ჩანს, აქვთ ეს კურსი, რომ, როცა ახლა უკრაინაში ომი მიდის და ისინი ამაყობენ იმით, რომ საქართველო გადარჩა, ეს ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ და ზოგჯერ ზომიერება ღალატობთ. კი, ჩემთვის სიფრთხილე გასაგებია, მაგრამ გაიგო ყველამ, რომ ფრთხილები არიან, გაიგეს რუსებმა, რომ ესენი მეორე ფრონტს არ გახსნიან, მაგრამ საჭიროა ზომიერების დაცვა, არ არის საჭირო, ყველას გააგებინონ, რომ ძალიან შეშინებულები არიან.

***– ბატონო თორნიკე, დიდი ამბავია ატეხილი ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ. ასე უწოდა ამ კანონპროექტს ხალხის ძალამ. რამაც საზოგადოების და ოპოზიციის დიდი აღშფოთება გამოიწვია. რა უნდათ, რას ცდილობენ? ბრძოლა გამოუცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციებს? ეს რას დავაბრალოთ, ამასაც შიშით ხომ არ აკეთებენ.***

– ამ კანონს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, მე მანდედან ვერაფერი ვერ გავიგე. სად არის ლოგიკა, რომელიც ამართლებს ამ კანონს? კობახიძემ თქვა ერთი საინტერესო რამ, ყველანი გაიგებთ, ნამახვანის პროტესტს ვინ აფინანსებდაო. მე ნამდვილად მაინტერესებს, მაგალითად, ნამახვანის პროტესტს ვინ აფინანსებდა. კი, ნამდვილად მაინტერესებს, მაგრამ რა საჭიროა ამისთვის კანონების მიღება? ისე არ შეიძლება გვითხრან, ვინ აფინანსებდა ვარლამ გოლეთიანს?! რამაც ჩაშალა ეს პროექტი?!

***– საით მიანიშნა კობახიძემ, რომ გარე ძალების მიერ დაფინანსებული იყო ეს პროტესტი?***

– მე ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ გარე ძალების მიერ იყო დაფინანსებული. ეს ყველაფერი ხდებოდა გარედან კოორდინირებით, არა მხოლოდ ფულით, არამედ ინსტრუქტაჟით და ა.შ., მაგრამ კანონი რად უნდა ამას, რა აუცილებელია?! თუ იცი ამის უკან ვინ დგას, გამოდი და თქვი პირდაპირ. თუ რომელიღაც ორგანიზაცია იქცევა დესტრუქციულად, ცუდად და ამას აკეთებს უცხოური ფულით, გამოვიდნენ და გვითხრან. რა საჭიროა ამისთვის კანონი, რომელიც იწვევს სერიოზულ კრიტიკას დასავლეთის მხრიდან. მე მაინც ხავსს ვებღაუჭები, რომ იქნებ არ მიიღონ ეს კანონი, ან თუნდაც შეცვალონ მისი ფორმა, რომ ასე თუ ისე მისაღები გახდეს. გამოვიდნენ და პირდაპირ თქვან, ვინ იდგა ამ დესტრუქციული ქმედების უკან. როგორც ჩანს, იციან და უნდა იცოდნენ კიდეც, აბა რისთვის არსებობს სახელმწიფო სამსახურები. გაასაჯაროონ და თქვან.





***– სულ არ სჭირდება ამას კანონები?***

– რა საჭიროა ეს აგენტების კანონი, რომელიც ძალიან ცუდ ასოციაციას იწვევს, რომელიც რუსეთს უფრო უკავშირდება. კი, ამერიკასაც აქვს. ამერიკამ ეს კანონი მიიღო 30-იანი წლების ბოლოს, გერმანიასთან დაპირისპირების დროს. მერე კომუნისტების დროს გამოიყენებოდა. ცუდი კანონი შეიძლება ყველა ქვეყანას ჰქონდეს. სადღაც არსებობს დასავლურ ქვეყანაში რომელიღაც ცუდი კანონი და ჩვენც უნდა გადმოვიღოთ? რახან იმათ აქვთ, კარგია? მათაც აქვთ ცუდი კანონები. კარგში მიბაძე, რაღა ცუდში ბაძავ! ავტომატურად ყველაფრის გადმოტანა ხომ არ შეიძლება?! ფორმა მაინც უნდა შეცვალონ. აგენტებზე ლაპარაკმა წაგვჭამა თავი უკვე 30 წელია.

***– ბატონო თორნიკე, ოპოზიციაშიც შეინიშნება გააქტიურებაო. რას იტყვით გიორგი გახარიაზე, რომელიც ბოლო პერიოდია საკმაოდ აქტიურობს. აქტიურად დაბრუნდება პოლიტიკაში?***

– ამას სჭირდება რესურსი და არ ვიცი, გახარიას რამდენად აქვს ამის საშუალება. გვინდა არ გვინდა, პოლიტიკა მაინც დადის ფულამდე.

***– მაშინ რას უკავშირდება მისი გააქტიურება? ამდენ ხანს არ ჩანდა, ჩუმად იყო და უცებ გამოჩნდა.***

– ვერ გეტყვით. შეიძლება გულწრფელად არ მოსწონს, რაც ხდება ქვეყანაში და პროტესტს გამოთქვამს. მიჭირს თქმა.

***– საუბრობენ, რომ შესაძლოა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენონ 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. რამდენად ელოდებით?***

– ეს ძალიან კომიკური იქნება. 20 ივნისის მერე გადაეფარნენ ყველანი, ჩვენი გმირი პრემიერიო, მაგარი მენეჯერიო და ახლა რომ ციხეში ჩასვან, ნამდვილი კატასტროფა იქნება. დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება.

***– გახარიაც აკეთებს მინიშნებებს ხელისუფლების მისამართით. აქვს ისეთი ინფორმაციები, კომპრომატები, რაც შეიძლება „ოცნების“ საწინააღმდეგოდ გამოიყენოს?***

– მართალი გითხრათ, დამღალა სულ ამ მუქარებმა, რომ მე ისეთი რაღაც ვიცი და გავამხელ, როცა იციან, არ იმუქრებიან წინასწარ. მით უმეტეს, საჯაროდ.

***– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ რაც ახალი თავმჯდომარე ჰყავთ, პულსი საერთოდ აღარ ესინჯებაო.***

– რა გითხრათ აბა? მე, პირადად, დეგრადაციის გარდა ვერაფერს ვხედავ. ვერ გამიგია, ახლა რატომ არიან უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე არჩევნებამდე იყვნენ?! მით უმეტეს, მე რომ ვუყურებ, შიგნით როგორ ხოცავენ ერთმანეთს მელიისტები და ხაბეისტები. ეს საერთოდ არაფერში არ ჯდება. პარტია მაშინ არის ძლიერი, დავიწყოთ იქიდან, როცა ერთიანია. ხოლო როცა ერთიანიც არ არის, საერთოდ რაზეა ლაპარაკი. მე არ მესმის საერთოდ, რას აპირებენ. გასაგებია, რომ გაისად ისევ მიშას პირადი რეიტინგით აიღებენ რამდენიმე ათასეულ ხმას, გავლენ პარლამენტში და გადალახავენ ბარიერს, მაგრამ ეს არის სულ? მერე მისცემენ სალაპარაკოს „ოცნებას“. აი ოპოზიცია ნაცები არიან, ოპოზიციას არ უნდა დეპოლარიზაცია. ყველაზე მეტი აგრესიული რიტორიკა ნაცმოძრაობის მხრიდან მოდის. დეპოლარიზაცია უნდა ევროპას, ვინ გვიშლის ხელს, ნაცმოძრაობა. ხან შევარდებიან პარლამენტში, ხან გამოვარდებიან. საბოლოოდ კი ვიღებთ ამ სურათს. „ოცნებას“ ყოველთვის აძლევენ სალაპარაკოს, რომ აი, ნაცების ბრალია ყველაფერი. პლუს ამას, აქ ერთი ფაქტია ძალიან საინტერესო, მიშას ციხეში ყოფნამ, დანარჩენი ოპოზიციაც დააბა. ყველა საუბრობს იმაზე, მიშა ციხეშია და გავუშვათ თუ არ გავუშვათ. ყველაფერი ამის გარშემო ტრიალებს. მივიღეთ ის, რომ ამით ოპოზიცია ძალიან დასუსტდა, ხელისუფლება კი მოგებულია. ხალხი კი ამ ყველაფრით დაიღალა.

***– ხაბეიშვილი რამდენად შეძლებს სააკაშვილის გათავისუფლებას? ფიზიკურად უნდა გამოვიხსნაო, ხომ გვპირდებოდა.***

– ახლა თქვენ გჯერათ, რომ ხაბეიშვილი შეძლებს სააკაშვილის განთავისუფლებას? ბეტმენად თუ იქცევა, არ ვიცი.

## გია ვოლსკი: „დემარშით ევროკავშირის ქვეყნებმა სააკაშვილის გარემოცვას მიმართონ“

– კარგი იქნებოდა, დემარშით ევროკავშირის ქვეყნებმა მიმართონ სააკაშვილის გარემოცვას, რომ თავი დაანებონ სააკაშვილის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის სტრატეგიას – მძევლად აიყვანეს სააკაშვილი და მისი ჯანმრთელობით სპეკულირებენ, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა და დამსახურებულ სასჯელს იხდის, ხოლო ევროკავშირის დემარში უსამართლობის ელემენტებს მოიცავს.

– როგორი ფორმით წარმოუდგენია – ხელისუფლებამ, მთავრობამ, იუსტიციის მინისტრმა, რა ფორმით შეიძლება მიმართოს და რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სასამართლოზე, როცა სასამართლო ფაქტობრივ ვითარებას იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, კიდევ დამატებითი კონსულტაციებია საჭირო, ვინაიდან, პოზიცია, რომელიც გააჩნია სასამართლოს, ვფიქრობთ, რომ არის ობიექტური, სამართლიანი, სწორი.



კარგი იქნებოდა ამ დემარშით ევროკავშირის ქვეყნებმა, ნებისმიერმა, ვინც ამ საკითხში ერკვევა, მიმართონ სააკაშვილის გარემოცვას, რომ თავი დაანებონ სააკაშვილის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის სტრატეგიას, მძევლად აიყვანეს სააკაშვილი და მისი ჯანმრთელობით სპეკულირებენ. ეს არის რეალობა და ამ რეალობას, ალბათ, სერიოზული განხილვა უნდა დაუპირისპიროს იგივე ევროკავშირმა, მისმა წარმომადგენლებმა, ევროპარლამენტარებმა და ვითარება რეალურად შეაფასონ, – განაცხადა ვოლსკიმ.

ვოლსკის თქმით, სააკაშვილის საკითხი არ შეიძლება ევროინტეგრაციის გზაზე „ხელისშემშლელი ფაქტორი“ იყოს, რადგან უსამართლობაა. ვოლსკის მტკიცებით, პროცესს საფრთხე „ქართული ოცნებისგან“ არ ემუქრება.

– ევროინტეგრაციის გზაზე არ შეიძლება ამას რაიმე ხელშემშლელი ფაქტორი ერქვას, რადგან უსამართლობაა, რომელსაც თავის ავტორები ჰყავს, შანტაჟის ავტორები და პოლიტიკური გუნდი, რომელიც უპირისპირდება ყველაფერს, რასაც ჰქვია ევროინტეგრაციის პროცესი. ეს არ არის „ქართული ოცნება“, ჩვენგან არ მოდის საფრთხე ამასთან დაკავშირებით. სააკაშვილი არის დამნაშავე და იხდის დამსახურებულ სასჯელს. ის არის თვითდაზიანების რეჟიმში, ჩვენ ჯანდაცვის სისტემას აქვს სრული რესურსი, რომ მისი მდგომარეობა წესრიგში მოიყვანოს, თუკი ამას ის მოინდომებს. არსებობენ სხვა პატიმრებიც, რომლებიც ამ ყველაფერს უყურებენ.

ევროკავშირის დემარში, მე ტექსტს არ ვიცნობ, მაგრამ გარკვეული უმართლობის ელემენტებს მოიცავს, რაზეც საუბარი უნდა გაგრძელდეს, – დასძინა ვოლსკიმ.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის განცხადებით, მან შვედეთის ელჩთან ერთად, საქართველოს იუსტიციის მინისტრს ევროკავშირის ოფიციალური დემარში გადასცა, რომელიც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ეხება.

– ჩვენ ძალიან შეშფოთებულები ვართ მისი ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის შესახებ ცნობებით. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ისაა, რომ ამ დემარშს ევროკავშირის წევრი 27-ვე სახელმწიფო ეთანხმება, – აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა.

## „მიხეილ სააკაშვილი პუტინის მოწამლული პოლიტიკოსია!




– მიხეილ სააკაშვილი პუტინის მოწამლული პოლიტიკოსია! – ამის შესახებ Twitter-ზე ფრანგი ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბერნარ ანრი ლევი წერს და საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ პირადად მისთვის გაგზავნილ წერილს აქვეყნებს:

– მიხეილ სააკაშვილი პუტინის მოწამლული პოლიტიკოსია! საბოლოოდ მივხვდით, რატომ წარმოადგენს პუტინი საერთაშორისო საფრთხეს? რა თქმა უნდა, უკრაინის გამო. მაგრამ რა ხდება ევროპაში?! ვფიქრობ მიშაზე, ამ დიდ პიროვნებაზე, ამ ქართველ პორთოსსა და ჩემს მეგობარზე – რომელიც კვდება, – წერს ის.

## ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში ნაპოვნია მამაკაცის ცხედარი




ქუთაისში, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში, კაცის ცხედარი იპოვეს.

პარკში მობილიზებულები არიან სამართალდამცველები, ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ძალიან მკაცრი პროტესტის დროა!“

## მურმან დუმბაძე: „მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ „ქართული ოცნება“ საკუთარ თავთან მარტო დარჩა“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო მურმან, „ხალხის ძალის“ მიერ დაინიცირებულ კანონპროექტს ირაკლი კობახიძე იცავს და აცხადებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერი შეცდომაში შეიყვანეს. პარლამენტი „უცხოური გავლენების შესახებ კანონპროექტს“ მიიღებს?***

— რა თქმა უნდა, მიიღებს. რაც დასჭირდება და მოუნდება ივანიშვილს, პარლამენტი ყველაფერს კანონად აქცევს. მერე რა, რომ ამ კანონპროექტის მიღების შემდეგ რუსეთად გავფორმდებით. მერე რა, რომ მთელი დასავლეთი — ევროპა და ამერიკა ლამის გვემუდარება, არ მიიღოთ რუსული კანონი, მაინც მიიღებენ. თუმცა, დაე, მიიღონ.

მე ცოტა სხვა დამოკიდებულება მაქვს, მიიღებენ და ესენი რომ გადაშენდებიან, მეორე დღესვე მაკულატურად იქცევა. აბა რა ჰგონიათ, საბჭოთა კავშირივით 70 წელი იქნება ეს კანონი? არა, ძალიან მალე არც ერთი ის კანონი არ იქნება, რომელიც ამ ქვეყანას ძირს უთხრის. ამიტომ მინდა ყველა დავამშვიდო, ძალიან ნუ ინერვიულებენ, მიიღებენ და როგორც მიიღებენ, ისე აღარ იქნება. ჯერჯერობით ყველაფერი გამოსდით.

ყველაფერი ისეა, როგორც ეს უნდა ივანიშვილს, მაგრამ მაინც მთლად ბოლომდე არ არის, იმდენი ხალხი გამოვიდა რუსთაველზე, რომ ეს ნამდვილად არ იყო მათი სურვილი. კიდევ უფრო მეტი გამოვა, რადგან უკმაყოფილოთა რიცხვი ძალიან მაღალია და ეს ყველგან ჩანს, ყველაფერშია ეს უკმაყოფილება გამოვლენილი.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ არ გამოდიან?***



— ამისთვის სულ სხვა პროცესია საჭირო. პირველ რიგში, ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი. უარი უნდა თქვან მანდატებზე. მეტს რას ელოდებიან, გაუგებარია. პარლამენტი, სადაც ოპოზიციაა წარმოდგენილი, პირდაპირ რუსულ კანონს იღებს. ვინ უსმენს ოპოზიციას, ან რამე შეძლეს, რა თქმა უნდა, არაფერი! ასეთი კანონი რომ მიიღო პუტინმა, მერე დაიწყო საშინელება რუსეთში. მედიის დახურვა. არასამთავრობო სექტორის გაჩერება, დაჭერა. ამიტომ, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს უნდა დავანახოთ, რომ „ქართული ოცნება“ საკუთარ თავთან მარტო დარჩა. რომ ირაკლი კობახიძე კანონებს იღებს მამუკა მდინარაძისთვის. მამუკა მდინარაძე კი ირაკლი კობახიძისთვის. ეს რეალობა უნდა შევქმნათ პარლამენტში.



ოპოზიცია როდესაც პარლამენტს დატოვებს, მთელი პოლიტიკური პროცესი ქუჩაში გადაინაცვლებს. მერე პარლამენტი და ხუნდაძის კანონები საერთოდ ყველას დაავიწყდება. ეს უნდა გავაკეთოთ. მე არ ვამბობ, რომ ეს მარტივი გასაკეთებელია, მაგრამ ნამდვილად არის გასაკეთებელი. დღევანდელი პარლამენტი არ იმსახურებს ოპოზიციას. არაფერში არ სჭირდება. პუტინსაც ჰყავს და ყოველთვის ჰყავდა ოპოზიცია. ჟირინოვსკი და ზუგანოვი პუტინის ოპოზიცია იყო, მაგრამ მერე რა?! ამით შეიცვალა რამე?! არ ჩახოცა მძინარე ბავშვები და ომი არ გამოუცხადა უკრაინას თუ?! ამიტომ დროულად უნდა მიიღოს საპარლამენტო ოპოზიციამ გადაწყვეტილება.

***— პარლამენტის დატოვება რას შეცვლის?***

— პირველ რიგში, ხალხს ნდობა დაუბრუნდება. უკმაყოფილო ხალხი სახლში კი არ დარჩება, ქუჩაში გამოვა და მოითხოვს იმას, რაც საჭიროა.

***— რა მოთხოვნა უნდა იყოს?***

— ვადამდელი არჩევნები, მაგრამ ემიგრაციის მონაწილეობით. რა დააშავეს იმ ქართველებმა, რომლებიც გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, კანადაში არიან გადახვეწილები. კარგი ცხოვრების გამო კი არ წასულან, ოჯახები რომ გადაერჩინათ, იმიტომ წავიდნენ. ვადამდელი არჩევნები აუცილებლად ელექტრონული წესით უნდა ჩატარდეს და ყველას უნდა მიეცეს მასში მონაწილეობის უფლება.

ძალიან მკაცრი პროტესტის დროა. სახლში ჯდომის დრო აღარ არის. შანსი, რომელიც ახლა აქვს საქართველოს გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, შეიძლება ორი საუკუნე აღარ ჰქონდეს. ამიტომ ვამბობ, რომ მოქმედების დროა. ევროკავშირი ასეთი ღია აღარასოდეს აღარ იქნება. ნატოს წევრობაზე ასეთი შანსი აღარასოდეს იქნება. ევროკავშირი, ნატო, ეს კონსტიტუციური ვალდებულებებია აღებული ხალხის წინაშე, იმ ხალხის, რომელმაც ამ ხელისუფლებას მანდატი მისცა, მაგრამ კონსტიტუციას, როგორც უნდა, ისე ჭრის და კერავს კობახიძე. ივანიშვილს საერთოდ არ ადარდებს კონსტიტუცია. რომ ვთქვა, ეს გიწერიათ კონსტიტუციაში-თქო, დამცინებენ. მე რომ ვთქვა, ბალახი მწვანეა, ივანიშვილი იტყვის, მურმან დუმბაძე გიჟია, ბალახი შავიაო. არ შეიძლება ამ ხალხის გვერდით იჯდე და კოლაბორაციონისტულ ხელისუფლებას ზურგს უმაგრებდე. ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს.

# „ქართული ოცნება“ მონებით აკომპლექტებს შეიარაღებულ ძალებს“

## ვახტანგ მეგრელიშვილი: „ჩვენ ვაბრუნებთ ახლა სავალდებულო გაწვევას ჯარში, თანაც ძველი წესებით. ანუ შლაგბაუმთან საყარაულო სამსახურში, იძულებით შრომას. რაც თავისი შინაარსით არის ტრეფიკინგი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს გირჩის წევრი ვახტანგ მეგრელიშვილი პასუხობს.**

***— ბატონო ვახტანგ, დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელსაც „ხალხის ძალა“ აინიცირებს პარლამენტში. რას ფიქრობთ ამ კანონპროექტზე, ვის გამოუცხადა ბრძოლა „ქართულმა ოცნებამ“?***

— ახლა მე ვარ თავდაცვის კოდექსის განხილვაზე, რომელიც ჯარს ეხება და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს გაუგებარი კანონპროექტი.

***— ამ თემაზეც ვისაუბროთ აუცილებლად, მანამდე კი, რას ფიქრობთ აღნიშნულ კანონპროექტზე?***

— ეს ჩვეულებრივი, რუსეთის დამამსგავსებელი კანონპროექტია, რომელზეც ხმაური უნდა ატყდეს. მე ასე შევაფასებდი, რაღაცნაირი მესიჯია დასავლეთისთვის, რომ აი, თუ თქვენთან ვერ დავლაგდით, მაშინ რუსულ კანონს მივიღებთ. რუსეთისკენ გავიწევით და ა.შ.

***— თავს რომ იდებენ ამერიკულიაო?***

— ასე არ არის. ყველას შეუძლია გადაამოწმოს და ნახოს. მთავარი განსხვავება ის არის, რომ იქ დაშვებულია ლობისტური საქმიანობა. ანუ იქაურ დეპუტატს, ანუ ჩემნაირ ადამიანს ამერიკაში, აქვს საშუალება, რომ სხვა ქვეყნის ინტერესების ლობირება კანონიერად განახორციელოს. რაც ნიშნავს იმას, რომ ამერიკაში ამომრჩეველს აინტერესებს, მისი პოლიტიკოსი რომელი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, რომ იყოს გამჭვირვალე. ჩვენთან კი ის მთავარი თემა, საიდანაც ეს კანონპროექტი მოდის, აქ აკრძალულია. საქართველოში, ამერიკული გაგებით, ლობიზმი არის აკრძალული. პარლამენტარები მარტო ხელფასს იღებენ. აქ, ენჯეოების დაფინანსების კონტროლი, არაფერ კავშირში არ არის ამერიკული ლობიზმის კონტროლთან. ის ლობიზმის კონტროლია ამ ფორმით და საქართველოში კი ეს არის ენჯეოების კონტროლი, რომლებიც ფინანსდებიან დასავლეთიდან. ეს სრულიად სხვადასხვა რამეა, შინაარსობრივად განსხვავებული, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სიტყვები ჰგავდეს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ამით დასავლეთის დაშანტაჟებას ცდილობს?***

— ეს ჰგავს იმას, რომ ჩვენ გვყავს რაღაცა ჯგუფი, ხალხის ძალა თუ რაღაც ასეთი რომ ჰქვია, რომელიც თითქოს „ქართული ოცნება“ არ არის, მაგრამ ახმოვანებს ისეთ იდეებს, რომელსაც შემდეგ „ქართული ოცნება“ ვითომდა მორიდებით უჭერს მხარს. მე რაც მაღელვებს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, აქ მთავარი რამ არის აკრძალული და ეს ეხება პარტიების დაფინანსებას. თვითონ ეს ენჯეოები, რომლებიც ახლა არიან დარტყმის ქვეშ, თავის დროზე, თვითონ სთხოვდნენ „ქართულ ოცნებას“, რომ პარტიული დაფინანსების კონტროლი დაეწყოთ. ახლა მიადგნენ მაგათაც. დღეს, სინამდვილეში, მაგათი დამცველები უნდა იყვნენ პოლიტიკური პარტიები, მაგრამ პოლიტიკური პარტიები უკვე განადგურებულები არიან.



***— ანუ სრული კონტროლი უნდა ხელისუფლებას?***

— კი ბატონო, ასეა! დასავლეთში უკვე ძალიან ბევრმა ოფიციალურმა პირმა გააკეთა ამ კანონის შესახებ განცხადება. თითქოს გამოწვევასავით გაუგზავნეს დასავლეთს, რომ თუ ისე არ ვიქნებით, როგორც ჩვენ გვინდა, მაშინ, შესაძლოა, რუსეთისკენ დავიძრათ. ეს ერთგვარი მესიჯია.

***— ბრძანეთ, რომ თავდაცვის სამინისტროს კოდექსის განხილვას ესწრებოდით. რა ხდება ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით? რა ცვლილებები შეაქვთ?***

— ეს არის ფაქტიურად მონური მდგომარეობა, ახალგაზრდების დისკრიმინაცია. ჯერ ასაკობრივი ჯგუფიც ისეთია... ჩვენ ვაბრუნებთ ახლა სავალდებულო გაწვევას ჯარში, თანაც ძველი წესებით. ანუ შლაგბაუმთან საყარაულო სამსახურში, იძულებით შრომას. რაც თავისი შინაარსით არის ტრეფიკინგი. ჩვენ რომ ვამბობთ, ეს არის ტრეფიკინგი, „ქართულ ოცნებას“ სწყინს. ჩვენ ვამბობთ, რომ მონებით აკომპლექტებენ შეიარაღებულ ძალებს. ეს კი არც შეიარაღებული ძალებისთვის ვარგა, არც ქვეყნისთვის, ირღვევა ადამიანის უფლებები და ა.შ.

***— უნდა იყოს ნებაყოფლობითი?***

— დიახ, საკონტრაქტო უნდა გვქონდეს ჯარი. თანაც დისკრიმინაციაა, რადგან ამ ჯარში მხოლოდ განსაკუთრებით ღარიბი, დაბალი სოციალური ფენის ბიჭები წავლენ. ვინც უნივერსიტეტში ვერ ახერხებს ჩაბარებას, ვინც ფულის გადახდას ვერ ახერხებს. შესაბამისად, ასეთი დისკრიმინაციული და მორალურად მძიმე კანონი „ქართულ ოცნებას“ დიდი ხანია არ მიუღია. სრული გიჟობაა.

***— გავა ეს კანონი?***

— სრული შესაძლებლობა აქვს „ქართულ ოცნებას“, რომ მიიღოს ეს კანონი, მაგრამ ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ პროტესტი შევაგებოთ. იმდენი ადამიანი უნდა გამოვიდეს, რომ უკან დაიხიონ. ყველამ უნდა გამოთქვას პროტესტი. 11 მარტს ჩატარდება აქცია და იმედი გვაქვს, რომ ბევრი ადამიანი გამოვა ამის გასაპროტესტებლად.

# სკანდალური სიმართლე კოვიდზე

კოვიდ 19-ის პანდემია, დიდი ალბათობით, ჩინეთის ქალაქ უჰანის ლაბორატორიიდან ვირუსის გაჟონვის შედეგია. ამის შესახებ აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დასკვნაშია აღნიშნული. ინფორმაციას theguardian.com ავრცელებს.

ამ დასკვნის მიხედვით, ვირუსი ლაბორატორიაში ახალ იარაღზე მუშაობის დროს არსებობდა და ის ჩინელ მეცნიერებს შემთხვევით „გაეპარათ“. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ის „ზომიერად სარწმუნოა“ და 100%-იანი სიზუსტით ამ ვერსიაზე საუბარი, ბუნებრივია, შეუძლებელია.

აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის ანგარიში შეერთებული შტატების 17 წამყვანი ლაბორატორიიდან მიღებულ დასკვნას ეფუძნება. ალტერნატიული ვერსია, რომელსაც აშშ-ის მეცნიერები კორონავირუსის პანდემიის გამომწვევ მიზეზებს შორის ასახელებდნენ, ცხოველს (მაგ. ღამურას) უკავშირდებოდა, საიდანაც ვირუსი სხვადასხვა გზით ადამიანებს გადაეცა.

2020 წლის დასაწყისში კორონავირუსის გლობალურ პანდემიას ჯანდაცვის ორგანოები აშკარად მოუმზადებლები შეხვდნენ. მას შემდეგ, ჯანმოს ინფორმაციით, კორონავირუსის შედეგად 7 მილიონამდე ადამიანი გარდაიცვალა. მან, ასევე, ეკონომიკის რამდენიმე სფეროს, განსაკუთრებით ტურიზმს, უდიდესი ზარალი მიაყენა.



კორონავირუსი პოლიტიკური დებატების საგანიც გახდა. აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მას „ჩინურ ვირუსს“ უწოდებდა და ამით, ფაქტობრივად, რასობრივი დისკრიმინაციის ინსპირირება მოახდინა. მისი შემცვლელი, ჯო ბაიდენი, პირიქით, ამ თემის პოლიტიზებას ერიდებოდა. პოლიტიზებულია ასევე ეპიდემიის გამომწვევი მიზეზების დადგენის საკითხიც.

აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის დასკვნა 4 წინა თეორიას ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით, ვირუსმა ლაბორატორიიდან ცხოველის ორგანიზმით გააღწია. რაც შეეხება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, მას ამ საკითხზე ჯერჯერობით საბოლოო დასკვნა არ გაუკეთებია და კვლავაც ორ ვერსიას განიხილავს. ორივე ვერსიის ავტორები ერთ დასკვნაზე თანხმდებიან — ვირუსის გაჟონვამდე ჩინურ ლაბორატორიაში ახალი ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობდა.

ის, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებში ამ საკითხზე სხვადასხვა ვერსია არსებობს, შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველმა ჯეიკ სალივანმაც განაცხადა.

— არსებობს ორი ძირითადი პოზიცია და კიდევ არსებობს მოსაზრება, რომ საბოლოო დასკვნისთვის მეტი ინფორმაციაა აუცილებელი, რომელშიც აშკარად არ არის საკმარისი, — განაცხადა სალივანმა.

მისივე თქმით, ამ პროცესში ენერგეტიკის დეპარტამენტის ჩართვა პრეზიდენტ ბაიდენის გადაწყვეტილება იყო, რათა ამ რთული საკითხის დასადგენად ყველა რესურსი, ინსტრუმენტი და ძალისხმევა იყოს გამოყენებული.

აშშ-ის დაზვერვის პირველი დასკვნის მიხედვით, კორონავირუსი თავდაპირველად ჩინეთის ქალაქ უჰანში გავრცელდა. ეს ფაქტი 2019 წლის ნოემბერში მოხდა, როდესაც ვირუსთან დაკავშირებულ კვლევებში მონაწილე სამი მეცნიერი ვირუსით დაინფიცირდა.

რაც შეეხება ჩინეთის ოფიციალური სტრუქტურების პოზიციას, ისინი უჰანის ლაბორატორიიდან ვირუსის გაჟონვის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავენ. ამასთანავე, უჰანში საერთაშორისო კომისიის ჩასვლას და გამოძიების ჩატარებასაც არ თანხმდებიან.

# „დასავლეთისთვის ნაციონალური მოძრაობა ჩამოწერილია“

## მირიან მირიანაშვილი: „კეზერაშვილის ფინანსების მფარველობა თავის თავზე აიღო უკრაინის ელიტამ“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე, ყოფილი დეპუტატი მირიან მირიანაშვილი განმარტავს, თუ რატომ აღიქვამენ მწვავედ დასავლეთში კანონპროექტის ძირითად თეზისებს „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის“ შესახებ. მისი აზრით, საქართველოს სვლას ევროატლანტიკური სივრცისკენ ეს კანონპროექტი ვერ შეაჩერებს. „ახალი თაობა“ მას ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა.

***— რაც დრო გადის, მით უფრო მწვავე კრიტიკა ისმის დასავლეთის წარმომადგენლების, საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციებისაგან კანონპროექტის მიმართ „უცხოური გავლენების შესახებ“. გამოითქმის მოსაზრებები, რომ მისი განხილვაც კი შეაფერხებს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?***

— დავიწყებ იმით, რომ კანონპროექტში ღრმად ჩახედული არ ვარ. დეტალებს ვერ განვიხილავ. სხვებიც ძირითადად კანონპროექტის იდეებს განიხილავენ. დასავლეთში კრიტიკის სიმძაფრეს იწვევს მისი ანალოგია რუსეთთან. მძაფრ სიუჟეტს ქმნის მსგავსი კანონის მოქმედება რუსეთში და ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება ეს კანონი (მიღების შემთხვევაში) აამოქმედოს საკუთარი ოპონენტების მიმართ. ამას ემატება ოპონენტების მხრიდან ხელისუფლების დადანაშაულება იმაში, რომ ის რუსეთიდან იმართება. ჩემი აზრით, ამ ყველაფერს პროპაგანდისტული ხასიათი აქვს. ავტორები ვერ ხსნიან, რა მიზანი აქვს ამ კანონის მიღებას. აქ მთავარი სხვა რამეა — ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს კანონპროექტი.

***— ამაზე შეიძლება ვარაუდები გამოვთქვათ. კანონპროექტი ინიცირებულია ანტიდასავლური „ხალხის ძალის“ მიერ. ესე იგი, ის მიმართული იქნება დასავლეთის, მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების წინააღმდეგ?***

— სწორედ ამის გამო დასავლეთში ფიქრობენ, რომ კანონი (თუ მას მიიღებენ) მიმართული იქნება პროდასავლური ორიენტაციის საზოგადოების დევნისათვის. რუსეთის გავლენების წინააღმდეგ ბრძოლას მეც მივესალმებოდი.

***— ამგვარი ლუსტრაცია აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანამ გაიარა.***

— დიახ. რუსეთის აგენტებისთვის ლაგამის ამოდების საჭიროება ნამდვილად არსებობს. თუ ამ მიზნით მიიღებენ კანონს, ეს მისასალმებელი იქნება.

***— ხომ არ არის იმის საშიშროებაც, რომ კრემლს დაგეგმილი ჰქონდეს საქართველოს მიწვევა თუ შეყვანა რუსეთ-ბელარუსის კავშირში, სავარაუდოდ, სოხუმსა და ცხინვალთან ერთად? აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ბჟანიას მინსკში ლუკაშენკოსთან შეხვედრის შემდეგ ასეთი მინიშნებები გაჩნდა. შესაძლოა, რუსეთს ბელარუსთან ერთად ეს უნდოდეს?***

— არა მგონია. დასუსტებულ რუსეთს იმის თავი არა აქვს, რომ საქართველოსა და ჩვენი ოკუპირებული რეგიონების რუსეთ-ბელარუსის კავშირში შეყვანით დაკავდეს. ეს უტოპისტური სცენარია. რუსეთი და მისი აგრესია გახდა დიდი პრობლემა მსოფლიოსთვის. აგრესორს დაედო სანქციები. არა მგონია, რუსეთს ჩიტი ბდღვნად უღირდეს და ის ნაბიჯი გადადგას, რაზეც მეკითხებით. ასევე კრემლის მიზანი არასდროს ყოფილა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სტატუსის აწევა, ანუ ამ უკანონო წარმონაქმნების სადმე მიღება. ლუკაშენკომ მიიღო ბჟანია. ეს გამომწვევი იყო. ჩემი აზრით, ეს თავად ლუკაშენკოს ინიციატივაა, რომელიც, ალბათ, შეათანხმდა კრემლთან. ლუკაშენკოს ახასიათებს დასავლეთის შანტაჟი. ამ შემთხვევაშიც ნაცად კომბინაციას იყენებს. დაახლოებით ასეთს: თუ ამას და იმას გამიკეთებთ, აფხაზეთს არ ვაღიარებო. სავარაუდოდ, ეს გზავნილი აქვს ლუკაშენკოს დასავლეთისადმი. ლუკაშენკოს უნდა რაღაცის მიღწევა აფხაზეთის საკითხის გამოყენებით.

***— საქართველოს ახლანდელი საგარეო კურსი როგორ შეიძლება შეფასდეს?***

— ფაქტობრივად, კურსი არ არსებობს. ახლანდელ მდგომარეობას ვაფასებ, როგორც



კურსის არარსებობას. აშკარაა, რომ უკრაინის ომმა საქართველოს ხელისუფლება ძალიან შეაშინა და უკიდურესად ფრთხილი გახადა. ამის გამო დინამიკა განულდა. ზოგმა დასავლეთში ეს მიიჩნია რუსეთთან ჩახუტების წინაპირობად და გაჩნდა ნერვული რეაქცია. პირადად მე გამოვრიცხავ საქართველოს დაბრუნებას რუსეთის ორბიტაზე. რუსეთთან ჩახუტება არ იქნება. რუსეთი დღითიდღე სუსტდება და ეს რუსეთუმეებმაც უნდა შეიგნონ.

***— შიდა პოლიტიკასაც შევეხოთ. „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ ნაცმოძრაობის არაფორმალურ ლიდერებს — კეზერაშვილსა და მერაბიშვილს შორის უთანხმოებაა. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაციაზე ამაზე და ზოგადად პარტიაში მიმდინარე მოვლენებზე?***

— მერაბიშვილი და კეზერაშვილი ცდილობენ საკუთარი პოლიტიკური წონის გაზრდას. ამისათვის ისინი იყენებენ ბევრ თემას, მათ შორის, სააკაშვილის საკითხს. სააკაშვილის საკითხი გამოიყენება პროპაგანდისტული აქტივობისათვის. ეს იმდენად თვალნათელია, რომ მხოლოდ ძალიან მიამიტი ადამიანი არ დაიჯერებს. უკანასკნელ ხანს დაინგრა ნაცმოძრაობის მიერ წამოყენებული პროპაგანდისტული გზავნილები. ეს მკაფიოდ გამოიკვეთა ამერიკელი სენატორების თბილისში ვიზიტის დროს.

***— სენატორებს — ჯინ შაჰინსა და დიკ დურბინს სააკაშვილი არც კი უხსენებიათ. ამას გულისხმობთ?***

— ბუნებრივია. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სააკაშვილის თემა ამერიკისათვის ტოქსიკურია. აშშ-ის ელიტისთვის ეს თემა ტაბუდადებულია. საქართველოს პოლიტიკოსებს ახასიათებთ მკაფიო მესიჯების დაუნახაობა, მაგრამ ამ სიტუაციაში, მგონი, თვალი მათაც უნდა აეხილოთ. თბილისში, ყოველი შეხვედრის წინ, სენატორების თანაშემწეები (ისინი შეხვედრებს ამზადებდნენ) აფრთხილებდნენ მონაწილეებს, რომ სენატორებთან არ იქნებოდა საუბარი სააკაშვილზე. ქართველი მონაწილეები გაგებით ხვდებოდნენ ამას და არც შემდგომში გამოუთქვამთ უკმაყოფილება. სააკაშვილზე შეკითხვა მხოლოდ ჟურნალისტებმა დასვეს და სულ ეს იყო. არადა, სააკაშვილის გარემოცვა სენატორების მოულოდნელ ვიზიტზე თბილისში დიდ იმედს ამყარებდა. სააკაშვილის დედას ისიც კი ეგონა, რომ სენატორები მას შეხვდებოდნენ. თქვენი შეკითხვა კეზერაშვილ-მერაბიშვილის დაპირისპირებასაც ეხებოდა. ეს უფრო იმიტაციას წააგავს.

***— რისთვის სჭირდებათ კეზერაშვილსა და მერაბიშვილს უთანხმოების ინსცენირება?***

— ეს არის მოქმედება არა ბიძინა ივანიშვილისთვის რაიმეს დასამტკიცებლად, არამედ, აშშ-ის საელჩოს დასანახად. მათ იციან, რომ ამერიკელები ეჭვის თვალით უყურებენ მათ კავშირსაც და მთავარი ოპოზიციური პარტიის მართვის ბლოკის უკრაინაში არსებობას.

***— ნაცმოძრაობა უკრაინიდან იმართება?***

— შეიძლება ითქვას. კეზერაშვილის ფინანსების მფარველობა თავის თავზე აიღო უკრაინის ელიტამ. მოგეხსენებათ, დასავლეთის სანქციები ემუქრება ბევრ ოლიგარქს პოსტსაბჭოთა სივრცეში. რასაკვირველია, კეზერაშვილსაც. ამიტომ კეზერაშვილი ყველაფერს გააკეთებს დასავლეთისათვის თავის მოსაწონებლად. მისი ნაბიჯები იქნება ისეთი, რომელიც ახლოა დასავლეთის პოზიციასთან. მერაბიშვილი თავს ნაკლებად შეიზღუდავს. მათ შორის გაჩნდება „უთანხმოება“ ბევრ საკითხზე.

***— ნაცმოძრაობას ყოველთვის უწოდებდით ფსევდოდასავლურს. ახლა რა სიტუაციაა?***

— დასავლეთისთვის ნაციონალური მოძრაობა ჩამოწერილია. ვინც მსოფლიოში ნარატივებს ქმნის, აზრს აყალიბებს, იმათი დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილისადმი მკაფიოა. ერთადერთი, რაც ამ პარტიას გადაარჩენს, ეს არის თვითლუსტრაცია. გამოვიდნენ მისი წევრები და სიცრუის დეტექტორის გამოყენებით დაამტკიცონ, რომ არ არიან რუსეთის აგენტები. სიცრუის დეტექტორის გავლა ასეთ სიტუაციაში ჩემი მოგონილი არ არის. ეს მეთოდი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოიყენეს ცნობილმა პოლიტიკოსებმა. დასავლეთმა ნაციონალურ მოძრაობას განაჩენი გამოუტანა. რას იტყვიან ლობისტები და რას ეტყვიან ნაცმოს წევრები საქართველოს მოსახლეობას, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

## ევროკავშირისა და შვედეთის ელჩებმა რატი ბრეგაძეს საპროტესტო დემარშის წერილი მიუტანეს

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელმა პაველ ჰერჩინსკიმ და შვედეთის ელჩმა ულრიკ თიდერსტრომმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რატი ბრეგაძეს ოფიციალური საპროტესტო ნოტა გადასცეს, — ამის შესახებ განცხადება პაველ ჰერჩინსკიმ გააკეთა. საპროტესტო ნოტა მიხეილ სააკაშვილის პატიმრობასა და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ეხება.

განცხადებას ევროკავშირის 27 ქვეყანა აწერს ხელს. ისინი საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ, მიხეილ სააკაშვილს საშუალება მიეცეს, რომ პოლონეთში შესაბამისი სამედიცინო დახმარებისთვის გაემგზავროს.

პაველ ჰერჩინსკის განცხადებით, ელჩებმა იუსტიციის მინისტრს ევროკავშირის 27 ქვეყნის მიერ შეჯერებული პოზიცია გააცნო, თავის მხრივ კი, რატი ბრეგაძემ იმაზე ისაუბრა, თუ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის უფლებების დასაცავად.

— ჩვენ ძალიან შეშფოთებულები ვართ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ცნობებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს საპროტესტო ნოტა შეთანხმებული იყო 27 ევროკავშირის ქვეყნის მიერ. ერთობლივი ნოტა ბრიუსელში, ყველა წევრი ქვეყნის მონაწილეობით შედგა. ჩვენ ძალიან ღია საუბარი გვქონდა იუსტიციის მინისტრთან. ჩვენ მას წარვუდგინეთ ევროკავშირის 27 ქვეყნის პოზიცია და მან, თავის მხრივ, გაგვაცნო, თუ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის უფლებების დასაცავად, — განაცხადა პაველ ჰერჩინსკიმ. პაველ ჰერჩინსკის თქმით, ახლა ჯერი ქართულ მხარეზეა.

## „ტირილით და თაღლითობით თავი „გაიბანძა“ — მამუკა მდინარაძე მიხეილ სააკაშვილზე

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხს ეხმიანება და აცხადებს, რომ „სააკაშვილი თაღლითობს“.

მდინარაძის სიტყვებით, მიხეილ სააკაშვილი „პოლიტიკური „ლუზერი“ გახდა და ტირილით და თაღლითობით თავი „გაიბანძა“.

— ამ ქვეყანაში, რეალურად, ადამიანი აღარ დარჩა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილზე სიმართლე არ იცის. სააკაშვილი უბრალოდ თაღლითობს — არ ჭამს საჭმელს, არ იღებს მედიკამენტებს და გადასხმებს, რომლებიც მის ჯანმრთელობას გააუმჯობესებს.

ეს ადამიანი თან თაღლითობს და თან ვილაცები, მსოფლიოს მასშტაბით, პიარკამპანიას ულაგებენ, რათა ჯერ ქვეყანა დააზიანონ და, საბოლოოდ, ომში ჩაგვრთონ.

ახლა ჩვენზე, როგორც რუსულ ხელისუფლებაზე, ისე საუბრობთ, მაგრამ რუსული ხელისუფლება როდის გეყოლებოდათ, იცით? ყველა მოწოდებას რომ გავყოლოდით, რაც მოდიოდა და რამდენიმე დღეში თბილისის ცენტრში რუსული ტანკები რომ ივლიდნენ.

მიხეილ სააკაშვილი იმდენად პოლიტიკური „ლუზერი“ გახდა, თავისი ტირილით, თაღლითობით, რაღაცების მოგონებით თავი ისე „გაიბანძა“, რომ არაფრის თავი აღარ აქვს, — აცხადებს მამუკა მდინარაძე.



## თურქ ბიზნესმენს, გალიფ ოზთურქს სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



ბიზნესმენი გალიფ ოზთურქი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლევან ყოლბაიამ დამნაშავედ ცნო.

თურქი ბიზნესმენი მოსამართლემ, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვის ნაწილში დამნაშავედ ცნო და თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით მიუსაჯა.

თავად ბრალდებული სასამართლო პროცესს დისტანციურ რეჟიმში ესწრებოდა. გალიფ ოზთურქი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

— ოზთურქის ადვოკატის განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ, რადგან გალიფ ოზთურქის უფლებადამცველებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნულ საქმეზე მტკიცებულებებითა და მოწმეთა დაკითხვის შედეგად ბრალდებულის უდანაშაულობა იკვეთება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ცალმხრივი და ტენდენციურია. დადგენილ ვადებში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ და ვფიქრობთ, სტრასბურის სასამართლოსაც მივმართოთ, სრულიად უდანაშაულო ადამიანს 8 წელი მიესაჯა, — განაცხადა ადვოკატმა თენგიზ კახიძემ.

გადაწყვეტილებით უკმაყოფილო არიან თურქი ბიზნესმენის ახლობლებიც.

მათი თქმით, გალიფ ოზთურქი ციხეში უკანონოდ იმყოფება.

— დღევანდელი დღით აღშფოთებული ვართ, სასამართლოს ამ განაჩენს არ ველოდებოდით. ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება არაა სწორი, ამას ადვოკატები გაასაჩივრებენ. არავის უფიქრია იმ თანამშრომლებზე, რომელთა ხელმძღვანელი უკანონო პატიმრობაშია. რა ეშველება ათასობით ადამიანს, რომელიც იქ დასაქმებულია და მათ უკან ოჯახებია, — განაცხადეს „მეტრო სითის“ თანამშრომლებმა, რომლის მფლობელიც გალიფ ოზთურქია.

საქმის პროკურორის, ლევან მურვანიძის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერი და სამართლიანია.

როგორც პროკურორი აცხადებს, ბრალდებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედება უტყუარი მტკიცებულებებით დადასტურდა.

ცნობისთვის, პროკურატურა თურქ ბიზნესმენს გალიფ ოზთურქს დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვა-მოხმარებას ედავებოდა. ამასთან, გალიფ ოზთურქს კიდევ ერთი ბრალდება აქვს წარდგენილი, რომელიც ფინანსურ დანაშაულს უკავშირდება. ადვოკატ თენგიზ კახიძის თქმით, აღნიშნული ბრალდების საქმის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყება.




## 22 თებერვალს გაუჩინარებული ქალის ცხედარი ქობულეთის ზღვაში იპოვეს

ქობულეთში, ზღვაში დაკარგული გოგოს ცხედარი იპოვეს. ის 22 თებერვალს გაუჩინარდა.

TV 25-ის ინფორმაციით, ქალი ბელარუსის მოქალაქე იყო და ის ზღვაში ძაღლის გადასარჩენად შევიდა.

არსებული ინფორმაციით, 35 წლის ქალი მეგობართან ერთად ზღვაში შევიდა, უკან გამოსვლა კი ვერ შეძლო. მასთან ერთად მყოფი მეორე პირი ქობულეთის სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

## ძლიერი აფეთქება ქუთაისში ინტერვენციული მედიცინის ცენტრთან

ძლიერი აფეთქება ქუთაისში ინტერვენციული მედიცინის ცენტრთან — შენობა მთლიანად დანგრეულია, დაშავდა კლინიკის რამდენიმე თანამშრომელი. წინასწარი ვერსიით, ცენტრის მიმდებარედ საქვაბე აფეთქდა.

ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.



# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ შევძელით ის, რომ 2021 წელი დავასრულეთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით“

– ჩვენი კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მთავრობის მიერ გადადგმული სწორი და ეფექტური ნაბიჯების შედეგად, ასევე ბატონი კობას ძალიან კონსტრუქციული მიდგომების შედეგად, ჩვენ შევძელით ის, რომ 2021 წელი, მაშინ როცა, საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები თვლიდნენ, რომ ქვეყანას ელოდებოდა დეფოლტი, დავასრულეთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის საქმიანობის შემაჯამებელ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში არის მშვიდობა, სტაბილურობა და მაღალი ეკონომიკური ზრდა.

– მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო, მივესალმები ბატონ კობა გვენეტაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტისა და მთავრობის წევრებს, პატივცემულ ელჩებს, ბიზნესის წარმომადგენლებს. მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ. პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ კობას, თქვენი ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობისთვის. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ შევაჯამოთ საქართველოს წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა და საფინანსო სისტემის მიღწევები, რაშიც, რა თქმა უნდა, ბატონ კობა გვენეტაძეს თავისი წვლილი მიუძღვის, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში დღეს გვაქვს მშვიდობა, სტაბილურობა და მაღალი ეკონომიკური ზრდა. გახსოვთ პანდემიის შედეგად მიყენებული უზარმაზარი ზარალი, შემდეგ უკვე გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც არის ურთულესი. ამ ორი დიდი გამოწვევის მიუხედავად, ბოლო ორი წელია, ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა.

მინდა ძალიან მოკლედ გავიხსენო, თუ რა ვითარებაში გავიცანი ბატონი კობა ორი წლის წინ. მაშინ მახსოვს, ქვეყანაში იყო მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ამას ემატებოდა პანდემია. ვაქცინების არარსებობა. ძალიან მოკლედ შეგახსენებთ იმ მდგომარეობას, რომელიც დამხვდა, ეს იყო ბიუჯეტის დეფიციტი თითქმის 10%-მდე. ქვეყნის ვალი 60%-ზე მეტი იყო მშპ-სთან მიმართებაში. ლარის კურსი თითქმის 3,4 შეადგენდა დოლართან მიმართებაში.



გვქონდა ეკონომიკური ვარდნა, 6%-იანი. არ გვქონდა ვაქცინები, ეკონომიკა იყო სრულ „?ლოქდაუნში“ და ამას ემატებოდა პოლიტიკური კრიზისი. ასეთ ვითარებაში გავიცანი ბატონი კობა ორი წლის წინ და მახსოვს ჩვენი პირველი შინაარსიანი, ხანგრძლივი საუბარი და მახსოვს ის პროგნოზები, რომელიც მაშინ კეთდებოდა როგორც ეროვნული ბანკის მენეჯმენტის მხრიდან, ასევე ის პროგნოზები, რომელიც დაგვხვდა ჩვენ მთავრობაში. მაგრამ ჩვენი კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მთავრობის მიერ გადადგმული სწორი და ეფექტური ნაბიჯების შედეგად, ასევე ბატონი კობას ძალიან კონსტრუქციული მიდგომების შედეგად, ჩვენ შევძელით ის, რომ 2021 წელი, მაშინ როცა, საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები თვლიდნენ, რომ ქვეყანას ელოდებოდა დეფოლტი, დავასრულეთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა კობა გვენეტაძეს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

– დღეს უკვე ბიუჯეტის დეფიციტი გვაქვს 2.8 პროცენტი, შარშან ასევე გვქონდა 10%-ანი ეკონომიკური ზრდა, მნიშვნელოვნად შევამცირეთ საგარეო ვალი, თითქმის 38%-მდე ჩამოვწიეთ.Gdp, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი არის ისტორიულ მაქსიმუმზე, წელს იქნება 25 მლრდ დოლარი, შესაბამისად, 80 მლრდ ლარამდე. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 8.000 დოლარს მიაღწევს მშპ და ლარი არის სტაბილური 2.6-2.65 ფარგლებში, დოლართან მიმართებაში.

ამასთან, უმუშევრობა გვაქვს ისტორიულ მინიმუმზე, სიღარიბე გვაქვს ისტორიულ მინიმუმზე და, რაც მთავარია, ამ ორი წლის ეკონომიკურმა ზრდამ მისცა საშუალება ბატონ კობას და მის მენეჯმენტს, ხელმძღვანელობას, რომ ქვეყნის სავალუტო რეზერვები ასევე ისტორიულ მაქსიმუმზეა. ეს არის მოკლე შეჯამება მთავრობის და ეროვნული ბანკის მეტად კონსტრუქციული და კოორდინირებული მუშაობისა. ბატონმა კობამ თავის გამოსვლაში აღნიშნა ეროვნული ბანკის მნიშვნელობა და გაიხსენა ისტორია. ასევე მინდა ჩემი მხრიდან დავადასტურო, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ბანკის დამოუკიდებლობას, რომელიც კონსტიტუციითაა გამყარებული, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რა თქმა უნდა, მთავრობას და ეროვნულ ბანკს სჭირდება მეტად კოორდინირებული, ჯანსაღი თანამშრომლობა. სწორედ ამის შედეგია ის, რაც მოგახსენეთ. მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბატონ კობა გვენეტაძეს. ჩვენ არაერთი საუბარი გვქონია, ყოფილა განსხვავებული შეხედულებებიც, ჯანსაღი კამათიც, კრიტიკაც, მაგრამ საბოლოო ჯამში ყოველთვის ვთანხმდებოდით მთავარზე – ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე. რა სჭირდებოდა და რა სჭირდება ქვეყანას მოცემულ მომენტში და მოცემულ დროს. ამ სულისკვეთებითა და პასუხისმგებლობით ვიმუშავეთ ჩვენ ერთად 2 წელი და ხედავთ, რომ შედეგები მართლაც შთამბეჭდავია. ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სწორედ ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, როგორც მდგრადი ეკონომიკის წინაპირობა და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ბატონი კობას მიზანმიმართული, ქმედითი და კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით ეროვნული ბანკის მუშაობა იყო უაღრესად დადებითი. კიდევ ერთხელ მადლობა, ბატონო კობა, გაწეული სამსახურისთვის. თქვენ ნამდვილად საპასუხისმგებლო თანამდებობა გეკავათ ბოლო 7 წლის განმავლობაში, თქვენ არაერთი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალეთ და მე ახლა გემშვიდობებით. გისურვებთ წარმატებას, დიდი მადლობა, – განაცხადა პრემიერმა.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ. ასევე მოისმინეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პოლ ჰილბერსის, სომხეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მარტინ გალსტიანის და მოლდოვას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ოქტავიან არმაშუს ვიდეო მიმართვები.

ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი უნდა დაადგინონ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ფარმაცევტული პროდუქტის ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილი იქნება კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი დაადგინოს.



დადგენილების მიხედვით, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს, ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა. მაღალი საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ფარმაცევტული პროდუქტის ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილი იქნება კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი ზღვრული საბითუმო სარეალიზაციო ფასი დაადგინოს ექსპერტული შეფასების საფუძველზე. ასევე, უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილი იქნება კონკრეტულ ფარმაცევტულ პროდუქტებზე შესაბამისი საბითუმო სარეალიზაციო ფასი შემოიღოს ან განსაზღვროს და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოაწესრიგოს.

უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შედიან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე, ორი პროფესიული პროფილის დამოუკიდებელი წევრი-ფარმაკოლოგი და ფარმაცევტი და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორი.

კომისია უფლებამოსილი იქნება განსაზღვროს ფარმაცევტულ პროდუქტზე დადგენილი ფასის ძალაში შესვლის განსხვავებული ვადები და პირობები. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფასებს შესაბამის კატალოგში გამოაქვეყნებს. განახლებული ფასი კი ფასების კატალოგში გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში შევა ძალაში.

## მთავრობის სხდომაზე 9 საკითხი განიხილეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 9 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებში შენობა-ნაგებობების შეკეთებასა და აღდგენას.

მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებული წინასწარი შესწავლის შედეგად, სულ გამოვლინდა 1.263 ისეთი შენობა-ნაგებობა, რომელიც ამახინჯებს მუნიციპალიტეტების იერსახეს და საჭიროებს შეკეთებასა და რეკონსტრუქციას, ზოგ შემთხვევაში კი, – დემონტაჟს.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება, განახორციელონ მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ შენობა-ნაგებობების შეკეთების, რეკონსტრუქციისა თუ დემონტაჟის აუცილებელი სამუშაოები, რომლებიც ამახინჯებენ მუნიციპალიტეტის იერსახეს ან პრობლემას ქმნიან უსაფრთხოების კუთხით.

ამ მიმართულებით აუცილებელ სამუშაოებს მუნიციპალიტეტები უკვე მიმდინარე წელს დაიწყებენ.

## პუტინს ფრიად საინტერესო ჭეშმარიტება წამოსცდა

რუსეთის პრეზიდენტ პუტინს ნერვები აშკარად ღალატობს. ასე, მაგალითად, თავის უკანასკნელ ინტერვიუში მან განაცხადა:

– რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთისაგან მხოლოდ მოსკოვი და ურალის მხარე დარჩება! ამრიგად, ე.წ. რუსეთის ერთიანობისათვის მებრძოლმა ფაქტიურად ქვეყნის დაშლა იწინასწარმეტყველა.

## ნავალნიზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს უდიდესი წარმატება ხვდა

რუსული ოპოზიციის ლიდერზე ნავალნიზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს უდიდესი წარმატება ხვდა. მან ამერიკელ კინოპროდიუსერთა გილდიის პრემია მიიღო. ფილმის რეჟისორია კანადელი როზლომი. მანამდე ფილმმა კიდევ ერთი პრემიაც დაიმსახურა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ფიტნეს-მოდელს ვარჯიში მოძალადის მოგერიებაში დაეხმარა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში 24 წლის ფიტნეს-მოდელმა ნაშალი ალმამ მოძალადის თავდასხმის მოგერიება სპორტდარბაზში ვარჯიშის წყალობით მოახერხა.

გოგონა საცხოვრებელი კორპუსის სავარჯიშო დარბაზში იმყოფებოდა, როდესაც მას 25 წლის ქსავიე ტომას-ჯონსმა შენობაში შეშვება სთხოვა. ალმამ მამაკაცს შესვლის უფლება მისცა, ვინაიდან ის ადრეც რამდენჯერმე შენიშნა ამ საცხოვრებელ კომპლექსში. ტომას-ჯონსონი დიდი ხნის განმავლობაში ადევნებდა თვალს ფიტნეს-მოდელის ვარჯიშს, შემდეგ კი მასთან მივიდა და მასზე ძალადობა სცადა, ალმამ მას ხელი ჰკრა და დარბაზის მეორე ბოლოსკენ გაიქცა, თუმცა მამაკაცი მას გაეკიდა. როდესაც ტომას-ჯონსმა მისი დაჭერა სცადა, გოგონა შეტრიალდა და მუშტები დაუშინა. ფიტნეს-მოდელის თქმით, მან იცოდა, რომ მოძალადესთან გამკლავებას შეძლებდა, ვინაიდან ბოდიბილდინგში ვარჯიშით საკმაოდ განივითარა კუნთები.

ორთაბრძოლის დროს ალმამ თავდამსხმელს მრავალრიცხოვანი დარტყმა მიაყენა, ბოლოს ძირს დააგდო და წვერები დააგლიჯა.

– რაც უფრო მეტად ეწინააღმდეგები, უფრო სწრაფად მოახერხებ მათგან თავის დაღწევას... ვიცოდი, რომ თუ თავის დაცვას გავაგრძელებდი, ის შეჩერდებოდა და თავს დამანებებდა. ასეც მოხდა, – განაცხადა გოგონამ.

ბოლოს და ბოლოს, ტომას-ჯონსი იძულებული გახდა შენობიდან გაქცეულიყო. ის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა 24 საათში დააპატიმრეს. მამაკაცს სექსუალური ძალადობის, პიროვნებისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის და გატაცების ბრალდება წაუყენეს.

აღსანიშნავია, რომ დაკავების დროს ტომას-ჯონსი სხვა ქალზე ძალადობას და მის სახლში შეჭრას ცდილობდა.

### შეიარაღებულ მძარცველს მსხვერპლის ქათმის ჭამა დაპატიმრებად დაუჯდა



ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში შეიარაღებულმა მძარცველმა გადაწყვიტა დანაშაულის ადგილზევე შეეჭამა თავისი მსხვერპლისთვის წართმეული შემწვარი ქათამი და შედეგად პოლიციელების ხელში აღმოჩნდა.

35 წლის მამაკაცმა მანქანა თავისი სახლის წინ გააჩერა და შიგნით შესვლას აპირებდა. მას ამ დროს ხელში, რესტორანში შეკვეთილი და შეძენილი ძალიან ცხელი შემწვარი ქათამი ეჭირა. ამ დროს მასთან 20 წლის ჯეიმს ტეილორი მივიდა და სიგარეტზე მოკიდება სთხოვა. მამაკაცმა მას უპასუხა, რომ სანთებელა არ ჰქონდა და გზა გააგრძელა.

ტეილორმა მას მხარზე ხელი დაჰკრა, ხოლო როდესაც ის მისკენ შეტრიალდა, სახეში პისტოლეტი მიუშვირა. მამაკაცი იძულებული გახდა, მძარცველისთვის მიეცა გასაღები, ორი დოლარი ნაღდი ფული, ბანკის პლასტიკური ბარათი და შემწვარი ქათამი. ტეილორი მამაკაცის კუთვნილ მანქანაში ჩაჯდა და ქათმის ჭამას შეუდგა. დაზარალებულმა კი პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდნენ და აღმოაჩინეს ტეილორი, რომელიც ჯერ ისევ ქათმის ჭამით იყო დაკავებული. მათ ბოროტმოქმედი დააპატიმრეს და შეიარაღებული ძარცვის, სხვისი ავტომობილის და ბანკის პლასტიკური ბარათის უკანონოდ დაუფლების ბრალდება წაუყენეს.

მოსამართლემ ტეილორს, რომელიც მანამდე ნასამართლევი არ ყოფილა, განუცხადა, რომ მას მინიმუმ 21 წლით პატიმრობა ემუქრება და მისი საქმის სასამართლო მოსმენამდე განთავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით, 15 ათასი დოლარის გადახდა დაუდგინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რატომ ამხილეს ამერიკელებმა ჩინეთი?!



ჩინეთი რუსეთისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებას აპირებს. ამის თაობაზე პირველად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა. მას მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ბაიდენმაც. თავის სატელევიზიო გამოსვლაში მან თქვა, რომ რუსეთმა ჩინეთისაგან ლეტალური იარაღის მიწოდება მოითხოვა, ხოლო ჩინეთის ლიდერმა სი ცზინპინმა რუსეთის ემისრებს მიუგო: ვნახოთ! შესაბამისად ცალსახა უარი რუსების წინადადებაზე არ თქმულა.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორმა ბიორნსმა თავის ინტერვიუში აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია რუსეთ-ჩინეთს შორის არსებულ საიდუმლო მოლაპარაკებებზე, სადაც რუსულმა მხარემ ჩინელებს ლეტალური იარაღის მიწოდება მოსთხოვა.

ცსს-ის დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს არავითარი ნიშანი იმისა, რომ რუსეთი და ჩინეთი შეთანხმდნენ და რომ რაიმე იარაღით დატვირთული ჩინური ეშელონები რუსეთისაკენ დაიძრნენ.

ჩინეთს რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ საკუთარი პოზიცია უკავია. პეკინი ცდილობს მაქსიმალური მოგება მიიღოს. თუ რუსეთმა გაიმარჯვა, მაშინ ჩინეთის არმია ტაივანისაკენ დაიძვრება, ხოლო თუ ვერა, ჩინეთი დასუსტებულ რუსეთს ბოლომდე მოგუდავს, კერძოდ, დაეპატრონება შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირს. დღეისათვის კი ჩინეთმა უკვე მიაღწია იმას, რომ რუსულ ენერგომატარებლებს 59%-ის ფასდაკლებით იღებს. ჩინეთის მთავრობა ცდილობს, რომ ფასდაკლება უფრო მეტი იყოს. ამ თემას ჩინელები რუსების წინაშე სისტემატიურად აყენებენ. ამრიგად, ჩინეთი საკუთარ თამაშს თამაშობს. ეს ნათლად გამოჩნდა ე.წ. „ჩინური სამშვიდობო გეგმის" გამოქვეყნებისას. მასში არის მუხლები, რომლებიც მოსკოვში არ მოეწონებათ. ჩინეთი ასევე გმობს ბირთვულ შანტაჟს, რასაც რუსეთი ხშირად მიმართავს. ჩინეთი მხარს უჭერს უკრაინის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

ამავე დროს გეგმაში ნათქვამია, რომ საომარი მოქმედებები უნდა შეწყდეს, ანუ დაფიქსირდეს არსებული სტატუს-კვო. ეს მხოლოდ რუსეთს აძლევს ხელს. ე.წ. სამშვიდობო გეგმაში დაფიქსირებულია ჩინეთის უარყოფითი პოზიცია ნატოს გაფართოებისადმი, ან რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებისადმი. ესეც რუსეთის ინტერესებშია.

– ე.წ. ჩინური სამშვიდობო გეგმა მხოლოდ პუტინს აძლევს ხელს, ამიტომ ჩინეთს არ შეუძლია იყოს შუამავალი რუსეთ-უკრაინას შორის, – განაცხადა ბაიდენმა.

რაკი ჩინეთი საკუთარ თამაშს თამაშობს, მისი კონტროლიც აუცილებელია. ამერიკელებმაც გაასაჯაროეს ჩინეთ-რუსეთის საიდუმლო მოლაპარაკებები, სადაც საუბარი იყო ლეტალური იარაღის მიწოდებაზეც.

# სახელმწიფო დეპარტამენტი: ყირიმი უკრაინას ეკუთვნის!




სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნედ პრაისმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

# ტრამპი თავის რეპერტუარშია



აშშ-ის სკანდალური ექსპრეზიდენტი ტრამპი თავის რეპერტუარშია. მან განაცხადა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2" რუსებს არ აუფეთქებიათ.

– ობიექტი შეიძლებოდა აეფეთქებინათ უკრაინელებს, ამერიკელებს ბაიდენის ბრძანებით, მაგრამ არა რუსებს! – თქვა ტრამპმა.

# ომი უკრაინაში



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. მთავარი ბრძოლები კვლავ დონბასშია. მათი ეპიცენტრია ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა და უგლედარი.

ბახმუტთან ჩაიშალა ქალაქის ალყაში მოქცევის რუსების მორიგი მცდელობა. ელვისებური კონტრშეტევით უკრაინელებმა დაიბრუნეს სოფელ ვერხივკას ნაწილი (ბახმუტის გარეუბანი). ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. უკრაინის თავდაცვის მინისტრის რეზნიკოვის ცნობით, ყოველდღე რუსეთი მხოლოდ ბახმუტთან 500-მდე მებრძოლს კარგავს.

პასუხად რუსებმა ბახმუტის დაბომბვა გააძლიერეს. უკრაინელებმა თავის მხრივ განახორციელეს დარტყმა დონეცკსა და აგრეთვე კურსკის ოლქზე (რუსეთი).

გააფთრებული ბრძოლებია მარინკასთან, ავდეევკასთან და უგლედართან. მარცხით დამთავრდა რუსების წინ წაწევის ყველა მცდელობა. პასუხად ოკუპანტებმა დაბომბეს ხარკოვის ოლქი და თავად ქალაქი ხარკოვი. დიანგრა სახლები. დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ პოზიციური ბრძოლებია. ზაპოროჟიეს ოლქში ოკუპანტები ჯიუტად ცდილობენ შეტევის განხორციელებას. მათი ყველა მცდელობა აღიკვეთა.

ბრძოლებია ხერსონის ოლქშიც. რუსები ხერსონის დაბომბვას განაგრძობენ. დანგრეულია სახლები, დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა. პასუხად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები კახოვკაზე, ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე.

– რუსებს არ ჰყოფნით ძალები, რომ უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელონ. ამიტომ აქ უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე დონბასში, – ამბობს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება. უკრაინის თავდაცვის მინისტრ რეზნიკოვის აზრით, მხოლოდ ბახმუტთან რუსები დღე-ღამეში 500 მეომარს კარგავენ.

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ომის დაწყებიდან დღემდე ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

თვითმფრინავები – 310, გელიკოპტერები – 288, ტანკები – 3.384, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 6.615.

განადგურებულია – 148.858 ოკუპანტი.

მარცხით გაბოროტებულმა ოკუპანტებმა უკრაინის მთელი ტერიტორიის მიმართულებით ირანული შახიდები გაუშვეს. დაიბომბა კიევის, ზაპოროჟიეს, ხმელნიცკის, როვნოს ოლქები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სამგურალმა და დინამომ მოიგეს

დასრულდა ეროვნული ლიგის პირველი ტური. დარჩენილი სამი მატჩი გაიმართა და ერთი ძალიან უხვგოლიანიც გამოერია.



**გაგრა-სამგურალი 3:4**

**თბილისი. ილია კოკაიას სახელობის ცენტრი**

0:1, 0:2 ნ. ხორხელი (27, 33), 1:2 ლომთაძე (36), 2:2 მუსელიანი (60), 3:2 ლომთაძე (78), 3:3 კუხიანიძე (82), 3:4 ნიქაბაძე (85პ)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კაკუბავა, გ.ლაცაბიძე (ჩაგანავა 88), შეწირული (სულთანიშვილი 72), კაკაშვილი, ლომთაძე, შონია (მარკონდელე 61), ოდიშელიძე (ნემსაძე 61), მუსელიანი

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი, ბული, ლომინაძე (ჩიხრაძე 73), ჯეფინიო (მ.ბაშელეიშვილი 66), კალანდარიშვილი (ლ.ხორხელი 54), ჩიხლაძე (არტური 66), ნ.ხორხელი (კუხიანიძე 73), ნიქაბაძე

შვიდგოლიანი მატჩი თბილისის ილია კოკაიას სახელობის საფეხბურთო ცენტრში გაიმართა. ლამაზ გოლებთან ერთად, მატჩის მიმდინარეობაც რამდენჯერმე შეიცვალა და სასწორის პინა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის მხარეს იყო – გაგრა 0:2-ს აგებდა, მერე 3:2-ს იგებდა და საბოლოოდ 3:4 წააგო.

ანგარიში სამგურალის შემტევმა ნიკა ხორხელმა გახსნა. მანვე მალე დუბლი შეასრულა, ხოლო გაგრადან გიორგი ლომთაძემ შეამცირა სხვაობა. პირველი ტაიმი 1:2 დასრულდა...

მე-60 წუთზე გაგრას ფორვარდმა ზურაბ მუსელიანმა „მაკრატელა" დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 78-ე წუთზე ლომთაძემ სულაც წინ გაიყვანა მასპინძლები...

და დარჩენილ დროში წყალტუბოელებმა გარდატეხა შეიტანეს. შეცვლაზე შესულმა სერგო კუხიანიძემ შორიდან გამოზომილი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მერე პენალტი დაინიშნა სამგურალის სასარგებლოდ და გიორგი ნიქაბაძემ ტექნიკურად შეასრულა – 3:4. პენალტიც კი ლამაზი გამოვიდა...

**საბურთალო-ტორპედო 0:0**

**რუსთავი. სფფ-ს ტექნიკური ცენტრი**

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, კომახიძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, შ.ნონიკაშვილი, ქარდავა (პარუნაშვილი 88), ლ.ნონიკაშვილი (ასკურავა 88), გ.მამაგეიშვილი (მამაცაშვილი 80), სილაგაძე, სიხარულიძე (სილა 74)

**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი (მჭედლიშვილი 86), მონტეირო, სანდოხაძე, ქობულაძე, გიგაური, მანჯგალაძე, სამურკასოვი (ნეტო 59), შულაია, ბუღრიძე (ფალეიე 72), თ.ახვლედიანი (კაჭარავა 72)

რუსთავში გამართული მატჩი უგოლოდ დასრულდა. მომენტები ორივეს ჰქონდა, მაგრამ ვერც საბურთალომ გაიტანა და ვერც ტორპედომ – 0:0.

მატჩი არ იყო სანახაობრივი. კარგი ფეხბურთი მხოლოდ ბოლო 25 წუთში ვნახეთ: ნიკა კაჭარავას ორი მომენტი ჰქონდა და ორივეჯერ მეგრელიშვილმა აჯობა; საბურთალოელთა მეკარემ ნიკა სანდოხაძესაც აუღო; ერთი მომენტი ტორპედოს კართანაც იყო – გია ჩადუნელის თავით დარტყმული ბურთი ერთ-ერთ ქუთაისელს მოხვდა და კარშიც შევარდებოდა, რომ არა კვასხვაძის დროული რეაქცია.

საბურთალოს მწვრთნელის რანგში დებიუტი ჰქონდა ომარ თეთრაძეს. ტორპედოში ითამაშა ნიკა კაჭარავამ, რომელიც თითქმის რვაწლიანი შესვენების მერე დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატს.

**დინამო (ბთ)-შუქურა 2:1**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ბიძინაშვილი (45), 1:1 ფაცაცია (61პ), 2:1 მამუჩაშვილი (74პ)

**დინამო:** ჩიჩკანი, ჩაბრაძე, მ.კობახიძე, რეხვიაშვილი, ბაგრატიონი (ღუდუშაური 64), ვიდაკოვიჩი (ლიტვინენკო 76), ალთუნაშვილი, მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (ზარია 64), ფლამარიონი (კვერნაძე 90), ვაწაძე (თ.კაპანაძე 76)

**შუქურა:** კულუა, ჩაჩუა, ჩაკვეტაძე, ქურდაძე, კუროკი (ანანიძე 74), ჯანელიძე, ც.ფაცაცია, ლექვთაძე (ანდრონიკაშვილი 46), სარდალიშვილი (კვარაცხელია 46), მზვაკალი, აფხაზავა (ვერულიძე 74)

ცარიელი ტრიბუნების წინ გამართული აჭარული დერბი ბათუმელებმა მოიგეს – 2:1. დინამოს გასულ წელს მიღებული დისკვალიფიკაცია გადმოყვა და ამიტომაც გულშემატკივრების გარეშე მოუწია თამაში.

მოიგო იმან, ვინც უკეთ მოემზადა სეზონისთვის: ირაკლი ბიძინაშვილის შორეულ დარტყმას ორი რიკოშეტი მოჰყვა და ქობულეთელთა მეკარე გოგი კულუა ამ სიტუაციაში უძლური იყო.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითო 11-მეტრიანი გაცვალეს და თამაში ასეც დასრულდა – 2:1. ჯერ ცოტნე ფაცაციამ გაათანაბრა, შემდეგ კი წერტილი ვლადიმერ მამუჩაშვილმა დასვა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## საზოგადოება

# მწერალთა სახლში რეპრესირებული მწერლების მუზეუმი გაიხსნება




2 მარტს მწერალთა სახლში რეპრესირებული მწერლების მუზეუმი გაიხსნება. მუზეუმი აერთიანებს მუდმივმოქმედ ექსპოზიციასა და განახლებად საგამოფენო სივრცეს, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორსა და მოვლენას დაეთმობა, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა წარსულის სიღრმისეულ გადააზრებას და მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ამ თემაზე ეროვნული მასშტაბის დისკუსიისთვის.

რეპრესირებული მწერლების მუზეუმი საგანმანათლებლო და კვლევით დანიშნულებასთან ერთად, სისტემის მსხვერპლთა გახსენებას და მათი ხსოვნის პატივისცემას ისახავს მიზნად. მუზეუმი დამთვალიერებელს უამბობს, რომ ქართველ მწერლებს, მიუხედავად უმძიმესი წნეხისა, არასდროს შეუწყვეტიათ ფიქრი საქართველოს თავისუფლებაზე და რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის მაგალითები მთელი საბჭოთა ისტორიის მანძილზე გრძელდებოდა.

დიდი საბჭოთა ტერორის დროს მომხდარმა ტრაგედიებმა ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში მაჩაბლის №13 მყარად დაუკავშირა 1937-1938 წლების მასობრივ რეპრესიებს. 1921 წლის 28 თებერვალს, დავით სარაჯიშვილისეული სახლი, რომელიც იმ დროისთვის ცნობილ მრეწველსა და მეცენატს, აკაკი ხოშტარიას ეკუთვნოდა, საბჭოთა რევოლუციური კომიტეტის ბრძანებით მწერალთა და ხელოვანთა გაერთიანებას გადაეცა. ასე იწყება ამ სახლის საბჭოთა ისტორია, რომელიც მთელი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს მოიცავს.

რეპრესირებული მწერლების მუზეუმში დამთვალიერებელი გაეცნობა ტოტალიტარული სახელმწიფოსა და მწერლების ტრაგიკული დაპირისპირების ამბებს, იმ მექანიზმებს, რომლებსაც სისტემა „მწერლობის მოსათვინიერებლად" იყენებდა. „ყველა მათ – ვისაც საფლავები არ დარჩენიათ, ვინც საიდუმლო გვირაბებში თიხად ჩაგლისეს, ან ვისმა ძვლებმაც ყინულეთის მიწა მოფინა..." – „მიძღვნა – მამის ხსოვნას" – ასე უწოდა პოეტმა დავით წერედიანმა თავის ლექსს, რომელიც რეპრესირებულ მამას მიუძღვნა.

რეპრესირებული მწერლების მუზეუმის განახლებადი საგამოფენო სივრცე 2 მარტიდან 3 თვის განმავლობაში პაოლო იაშვილის საიუბილეო გამოფენას დაეთმობა. 1937 წლის ზაფხულში მაჩაბლის 13-ში ყოველ კვირას იმართებოდა მწერალთა კავშირის სხდომები, სადაც მწერლებს ერთმანეთისთვის გამოჰქონდათ განაჩენი და „ამხელდნენ ხალხის მტრებს". ერთ-ერთი მთავარი სამიზნე პაოლო იაშვილი იყო. 1937 წლის 22 ივლისს დაკითხვებითა და გაურკვევლობით გაწამებულმა პოეტმა მწერალთა სასახლის მეორე სართულზე სანადირო თოფით თავი მოიკლა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილი**


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: ალმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ისტორიული შედეგი — საქართველოს ნაკრები მსოფლიოზე ითამაშებს

**საქართველო-ისლანდია 77:80**
**(19:19; 23:24; 18:19; 17:18)**

არის მსოფლიოს თასის საგზური! ისტორიაში პირველად, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, რისთვისაც ილიას ზუროსის გაწვრთნილ ნაკრებს 2 წლის მანძილზე ორი ჯგუფური ეტაპის დაძლევა მოუხდა და გადატანილი დიდი ბრძოლების შედეგად სანუკვარ მიზანს მიაღწია.

საქართველოს ნაკრებმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე, რომელიც 2021-22 წლების სეზონში ჩატარდა, 6 მატჩიდან 4 მოიგო და 4-გუნდიან ჯგუფში ესპანეთის შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავა. მეორე ჯგუფურ ეტაპზე ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა ასევე 6 მატჩიდან 4-ში იმარჯვა და ესპანეთთან და იტალიასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

ბოლო აკორდი იყო ისლანდიასთან მატჩი. გამარჯვებული გუნდი მსოფლიოზე გადიოდა, თუმცა ჯგუფში შექმნილი სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ისლანდიას 4 ქულით გამარჯვება სჭირდებოდა. ჩვენმა ნაკრებმა მატჩი 77:80 წააგო, რაც სასურველი ანგარიში იყო და პირველად საქართველომ მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა!




საქართველომ კარგად დაიწყო და პირველივე მეოთხედში 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. განსაკუთრებით გიორგი შერმადინი აქტიურობდა, რომელმაც ამ მონაკვეთში 11 ქულა მიითვალა. შემდეგ ილიას ზუროსმა როტაციას მიმართა, ჩვენებმა 3 წუთში უპირატესობა გაანიავეს – 19:19.

მეორე მეოთხედში თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა – ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხანაც – მეორე. უმეტესად ქართველები ლიდერობდნენ, მაგრამ ელვარ ფრიდრიქსონი სკანდინავიელებს თამაშში ტოვებდა. ისლანდიელთა ლიდერმა პირველ ტაიმში 16 ქულა დააგროვა და ტაიმი ისლანდიამ ქულით მოიგო – 43:42.

შესვენების შემდეგ ისლანდია სასურველი 4 ქულით გაგვექცა, მაგრამ შენგელიას ძალისხმევით წინ ისევ ჩვენი გუნდი გავიდა. თამაში ისევ ნერვიულად, ქულა-ქულაში გაგრძელდა და დასკვნით მეოთხედს ისლანდია 2-ქულიანი უპირატესობით შეხვდა.

მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, ისლანდია ისევ სასურველი უპირატესობით არის წინ – 66:70. სხვაობა უცვლელი რჩება მატჩის დასრულებამდე 1:55 წუთით ადრეც – 71:75. ჩვენი გუნდი ზედიზედ ორ სამქულიანს აცუდებს. შანსს ვერ იყენებს ვერც ისლანდია და საჯარიმო ხაზზე შენგელია დგება. თოკო ორივეს აგდებს – 73:75 და რჩება 1:07 წუთი. ისლანდია ისევ ვერ აგდებს, სამაგიეროდ, სამქულიანს აგდებს მაკფადენი და 45 წამით ადრე წინ უკვე საქართველოა – 76:75.

ისლანდია არ გატყდა. ჰილნასონი 2 ქულასთან ერთად ჯარიმასაც აგდებს – 76:78. დარჩენილია 35 წამი და შეტევა საქართველოსია. ცინცაძე ერთ ჯარიმას აგდებს და სხვაობა მინიმუმამდე დაჰყავს. ისლანდიელები ორი ჯარიმით გვპასუხობენ და სხვაობა მინუს 3 ქულაა – 77:80. დარჩენილია 11 წამი. ისლანდიას ანგარიში არ აწყობს და ტაქტიკურ ჯარიმას იღებს. თორნიკე ორივეს აცილებს, ისლანდიელებს შესატევად 10 წამი აქვთ, მაგრამ შეტევა ვერ გამოიყენეს და საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზეა.

**ილიას ზუროსი:**

– ჩემს საკალათბურთო კარიერაში ყველაზე ბედნიერი დღეა. ჩვენ ისტორია შევქმენით და ეს დავიმსახურეთ. თუ ვინმეს არ ახსოვს, მინდა შეგახსენოთ, რომ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩვენ 2 მოგება დაგვაკლდა, ისლანდიას კი არაფერი დაჰკლებია. ამ ფანჯრის წინ ვამბობდი, რომ მიზნის მისაღწევად 2 თამაშის მოგება გვჭირდებოდა. ისლანდიასთან თამაში კი წავაგეთ, თუმცა, მაინც ბედნიერები ვართ, რადგანაც საგზური მოვიპოვეთ. ველოდით, რომ მეტოქე დღეს ასე ითამაშებდა. სწრაფად თამაშობენ, ბევრ სამქულიანს ესვრიან და ეს გასაკვირი არ ყოფილა. დამიჯერეთ, ჩვენც უკეთ თამაში შეგვიძლია, უბრალოდ, გადაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა. არაერთი ჩასაგდები სროლა ავაცილეთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საჩვენო შედეგი დადგა. ყველა კალათბურთელი მაქსიმალურად დაიხარჯა. მადლობა ბიჭებს.

**თორნიკე შენგელია გუნდის წარმატებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:**

– ჩვენ ისტორია დავწერეთ! პირველად, საქართველოს ისტორიაში, კალათბურთის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს საუკეთესოთა შორის იასპარეზებს!

ეს უდიდესი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ამ ყველაფრისთვის ჩვენ ერთ დღე-ღამეში არ მიგვიღწევია, ამას საფუძველი დიდი ხნის წინ ჩაეყარა, რისთვისაც უდიდესი პატივი მინდა მივაგო და მადლობა გადავუხადო მთლიანი გუნდის სახელით, ყველა იმ ადამიანს, ვისაც მცირედი წვლილიც კი მიუძღვის ქართული კალათბურთისთვის, ვისი სახელი და გვარი ერთხელ მაინც გაჟღერებულა ჩვენს ეროვნულ ნაკრებში, ყველას დიდი მადლობა!!! დღეს ჩვენ ამ წარმატებას ერთად ვზეიმობთ.

მე ამაყი ვარ სამწვრთნელო შტაბით, ექიმებით და სტაფით, რომლებიც 24/7 გაუჩერებლად მუშაობდნენ, რათა ხელი შეეწყოთ თითოეული ჩვენთაგანისთვის, რომ ამ უდიდეს გამოწვევას საუკეთესო ფორმაში შევხვედროდით!

მე ამაყი ვარ ჩემი გუნდით, ძმებით, საკალათბურთო ოჯახით! მათი გვერდში დგომა მაიმედებს, რომ ყველანაირ გამოწვევას თავაწეულები შევხვდებით და უკან არაფერზე დავიხევთ!! ეს არის ჩვენი დამახასიათებელი თვისება და ამას ვერავინ ვერასდროს ვერ წაგვართმევს!

მინდა ვუთხრა მომავალ თაობას, რომ დღეს ჩვენ თამასა ძალიან მაღლა ავწიეთ. ეს მხოლოდ და მხოლოდ მოტივაცია უნდა იყოს თქვენთვის. გახსოვდეთ, ყველაფერი, რასაც აკეთებთ საკუთარი თავის განვითარებისთვის, სრულყოფილებას მხოლოდ მაშინ მიაღწევთ, როცა ამას ჩვენს ქვეყანას მოახმარ. მერწმუნეთ, ამას პირადი გამოცდილებით ვამბობ.

ამას კი მთელი გუნდის სახელით ვიტყვი... უდიდესი მადლობა ჩვენს გულშემატკივარს!!! დღესაც, როგორც ყოველთვის, სასწაული ატმოსფერო იყო დარბაზში და ამ მიზნის მიღწევაში დიდი წვლილი თქვენ მიგიძღვით. თქვენ ხართ ის ძალა და ენერგია, რომელიც ყველაზე რთულ მომენტებში გვეხმარება, რომ ვიბრძოლოთ და დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ!

და რაღა თქმა უნდა, მადლობა ღმერთს, იმისთვის, რომ ვართ და ვიქნებით „ის ბიჭები, რომლებმაც ისტორია დაწერეს".

თქვენი კაპიტანი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**26 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

**ფინალი**

მანჩესტერი-ნიუკასლი .................. 2:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ჩელსი .................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 24 | 18 | 3 | 3 | 52-23 | 57 |
| 2.სიტი | 25 | 17 | 4 | 4 | 64-25 | 55 |
| 3.მანჩესტერი | 24 | 15 | 4 | 5 | 41-28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 25 | 14 | 3 | 8 | 46-35 | 42 |
| 5.ნიუკასლი | 23 | 10 | 11 | 2 | 35-15 | 41 |
| 6.ფულემი | 25 | 11 | 6 | 8 | 36-31 | 39 |
| 7.ლივერპული | 23 | 10 | 6 | 7 | 38-28 | 36 |
| 8.ბრაიტონი | 22 | 10 | 5 | 7 | 39-29 | 35 |
| 9.ბრენტფორდი | 23 | 8 | 11 | 4 | 37-30 | 35 |
| 10.ჩელსი | 24 | 8 | 7 | 9 | 23-25 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 24 | 9 | 4 | 11 | 30-38 | 31 |
| 12.კრ.პალასი | 24 | 6 | 9 | 9 | 21-31 | 27 |
| 13.ნოტინგემი | 24 | 6 | 7 | 11 | 18-42 | 25 |
| 14.ლესტერი | 24 | 7 | 3 | 14 | 36-42 | 24 |
| 15.ვულვზი | 24 | 6 | 6 | 12 | 18-33 | 24 |
| 16.ვესტ ჰემი | 24 | 6 | 5 | 13 | 23-29 | 23 |
| 17.ლიდსი | 24 | 5 | 7 | 12 | 29-39 | 22 |
| 18.ევერტონი | 24 | 5 | 6 | 13 | 17-32 | 21 |
| 19.ბორნმუთი | 24 | 5 | 6 | 13 | 22-48 | 21 |
| 20.საუთჰემპტონი | 24 | 5 | 3 | 16 | 19-41 | 18 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ლევერკუზენი ............ 1:1
ბაიერნი-უნიონი .................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 13 | 7 | 2 | 64-21 | 46 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 15 | 1 | 6 | 45-27 | 46 |
| 3.უნიონი | 22 | 13 | 4 | 5 | 35-27 | 43 |
| 4.ლაიფციგი | 22 | 12 | 6 | 4 | 45-27 | 42 |
| 5.ფრაიბურგი | 22 | 12 | 5 | 5 | 35-32 | 41 |
| 6.აინტრახტი | 22 | 11 | 5 | 6 | 43-31 | 38 |
| 7.ვოლფსბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 40-29 | 33 |
| 8.მაინცი | 22 | 9 | 5 | 8 | 37-34 | 32 |
| 9.ვერდერი | 22 | 9 | 3 | 10 | 34-41 | 30 |
| 10.გლადბახი | 22 | 8 | 5 | 9 | 38-39 | 29 |
| 11.ლევერკუზენი | 22 | 8 | 4 | 10 | 36-36 | 27 |
| 12.კიოლნი | 22 | 6 | 8 | 8 | 32-36 | 26 |
| 13.აუგსბურგი | 22 | 7 | 3 | 12 | 26-38 | 24 |
| 14.ჰერტა | 22 | 5 | 5 | 12 | 27-40 | 20 |
| 15.შტუტგარტი | 22 | 4 | 7 | 11 | 27-38 | 19 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 22 | 5 | 4 | 13 | 29-41 | 19 |
| 17.ბოხუმი | 22 | 6 | 1 | 15 | 24-54 | 19 |
| 18.შალკე | 22 | 3 | 7 | 12 | 16-42 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ჰაიდენჰაიმი .................. 0:1
ჰანოვერი-მაგდებურგი .................. 1:2
ზ.პაული-ჰანზა .................. 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ხირონა .................. 2:3
სელტა-ვალიადოლიდი .................. 3:0
ალმერია-ბარსელონა .................. 1:0
სევილია-ოსასუნა .................. 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 19 | 2 | 2 | 45-8 | 59 |
| 2.რეალი | 23 | 16 | 4 | 3 | 47-18 | 52 |
| 3.სოსიედადი | 23 | 13 | 4 | 6 | 32-23 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 12 | 6 | 5 | 32-18 | 42 |
| 5.ბეტისი | 23 | 12 | 4 | 7 | 32-25 | 40 |
| 6.რაიო | 23 | 9 | 7 | 7 | 29-25 | 34 |
| 7.ოსასუნა | 23 | 9 | 6 | 8 | 22-23 | 33 |
| 8.ბილბაო | 23 | 9 | 5 | 9 | 33-26 | 32 |
| 9.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 21-24 | 31 |
| 10.ვილიარეალი | 22 | 9 | 4 | 9 | 24-22 | 31 |
| 11.ხირონა | 23 | 8 | 6 | 9 | 36-35 | 30 |
| 12.ესპანიოლი | 23 | 6 | 9 | 8 | 29-34 | 27 |
| 13.სელტა | 23 | 7 | 6 | 10 | 26-34 | 27 |
| 14.სევილია | 23 | 6 | 7 | 10 | 26-33 | 25 |
| 15.ალმერია | 23 | 7 | 4 | 12 | 28-40 | 25 |
| 16.კადისი | 23 | 6 | 7 | 10 | 18-35 | 25 |
| 17.ვალიადოლიდი | 23 | 7 | 3 | 13 | 16-33 | 24 |
| 18.ვალენსია | 23 | 6 | 5 | 12 | 27-27 | 23 |
| 19.ხეტაფე | 22 | 5 | 7 | 10 | 19-28 | 22 |
| 20.ელჩე | 23 | 1 | 6 | 16 | 17-48 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

იბიცა-უესკა .................. 2:2
ლევანტე-ლუგო .................. 3:1
სარაგოსა-ბურგოსი .................. 0:0
ლას პალმასი-პონფერადინა .................. 2:0
ოვიედო-ალბასეტე .................. 1:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ინტერი .................. 1:0
სალერნიტანა-მონცა .................. 3:0
უდინეზე-სპეცია .................. 2:2
მილანი-ატალანტა .................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 21 | 2 | 1 | 58-15 | 65 |
| 2.ინტერი | 24 | 15 | 2 | 7 | 44-28 | 47 |
| 3.მილანი | 24 | 14 | 5 | 5 | 41-30 | 47 |
| 4.რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 30-19 | 44 |
| 5.ლაციო | 23 | 12 | 6 | 5 | 39-19 | 42 |
| 6.ატალანტა | 24 | 12 | 5 | 7 | 42-28 | 41 |
| 7.ბოლონია | 24 | 10 | 5 | 9 | 31-33 | 35 |
| 8.იუვენტუსი | 23 | 14 | 5 | 4 | 35-17 | 32 |
| 9.უდინეზე | 24 | 7 | 10 | 7 | 33-30 | 31 |
| 10.ტორინო | 23 | 8 | 7 | 8 | 24-25 | 31 |
| 11.მონცა | 24 | 8 | 5 | 11 | 28-34 | 29 |
| 12.ემპოლი | 24 | 6 | 10 | 8 | 22-31 | 28 |
| 13.ლეჩე | 24 | 6 | 9 | 9 | 24-27 | 27 |
| 14.სასუოლო | 24 | 7 | 6 | 11 | 27-35 | 27 |
| 15.ფიორენტინა | 23 | 6 | 7 | 10 | 24-30 | 25 |
| 16.სალერნიტანა | 24 | 6 | 6 | 12 | 28-44 | 24 |
| 17.სპეცია | 24 | 4 | 7 | 13 | 21-41 | 20 |
| 18.ვერონა | 23 | 4 | 5 | 14 | 20-34 | 17 |
| 19.სამპდორია | 23 | 2 | 5 | 16 | 11-38 | 11 |
| 20.კრემონეზე | 23 | 0 | 9 | 14 | 17-42 | 9 |

**შენიშვნა:**
**იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ბენევენტო .................. 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლორიანი-ოსერი .................. 0:1
აიაჩო-ტრუა .................. 2:1
კლერმონი-სტრასბური .................. 1:1
ნანტი-რენი .................. 0:1
რეიმსი-ტულუზა .................. 3:0
მონაკო-ნიცა .................. 0:3
მარსელი-პსჟ .................. 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 25 | 19 | 3 | 3 | 62-23 | 60 |
| 2.მარსელი | 25 | 16 | 4 | 5 | 48-25 | 52 |
| 3.მონაკო | 25 | 15 | 5 | 5 | 53-34 | 50 |
| 4.ლანსი | 25 | 14 | 8 | 3 | 39-20 | 50 |
| 5.რენი | 25 | 15 | 4 | 7 | 45-28 | 46 |
| 6.ლილი | 25 | 13 | 5 | 7 | 45-32 | 44 |
| 7.ნიცა | 25 | 11 | 8 | 6 | 33-21 | 41 |
| 8.ლორიანი | 25 | 11 | 6 | 8 | 38-36 | 39 |
| 9.ლიონი | 25 | 11 | 5 | 9 | 39-28 | 38 |
| 10.რეიმსი | 25 | 8 | 13 | 4 | 33-26 | 37 |
| 11.ტულუზა | 25 | 9 | 5 | 11 | 41-45 | 32 |
| 12.კლერმონი | 25 | 8 | 7 | 10 | 25-34 | 31 |
| 13.ნანტი | 25 | 6 | 10 | 9 | 25-30 | 28 |
| 14.მონპელიე | 25 | 8 | 3 | 14 | 36-46 | 27 |
| 15.სტრასბური | 25 | 4 | 10 | 11 | 30-43 | 22 |
| 16.აიაჩო | 25 | 6 | 3 | 16 | 20-46 | 21 |
| 17.ოსერი | 25 | 5 | 6 | 14 | 22-48 | 21 |
| 18.ბრესტი | 25 | 4 | 8 | 13 | 26-42 | 20 |
| 19.ტრუა | 25 | 4 | 7 | 14 | 34-55 | 19 |
| 20.ანჟე | 25 | 2 | 4 | 19 | 21-53 | 10 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-შავიში .................. 1:0
ფერეირა-ბოავიშტა .................. 1:3
პორტუ-ჟილ ვისენტე .................. 1:2

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

სიტარდი-ფეინოორდი .................. 2:4
ვიტესი-აიაქსი .................. 1:2
ემენი-იგლზი .................. 2:2
პსვ-ტვენტე .................. 3:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-გენტი .................. 2:0
ლეუვენი-ანტვერპენი .................. 1:1
ანდერლეხტი-სტანდარდი .................. 2:2
შარლერუა-სტ.ტრუიდენი .................. 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

უმრანიე-ადანა .................. 1:1
ბეშიქთაში-ანთალია .................. 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-რაპიდი .................. 1:2
ალტახი-ტიროლი .................. 0:0
ზალცბურგი-რიდი .................. 2:0

**შოტლანდია. ლიგის თასი**

**ფინალი**

რეინჯერსი-სელტიკი .................. 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იონიკოსი-ოფი .................. 0:2
ლევადიაკოსი-პანეთოლიკოსი .................. 0:0
არისი-ატრომიტოსი .................. 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სიგმა-პარდუბიცე .................. 2:2
სლავია-სლოვაცკო .................. 2:0
იაბლონეცი-ტეპლიცე .................. 4:1
ბანიკი-ჰრადეც კრალოვე .................. 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-გრასჰოპერსი .................. 1:0
ლუგანო-ბაზელი .................. 2:2
სერვეტი-ვინთენთური .................. 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სტალი-გურნიკი .................. 0:1
პლოცკი-პოგონი .................. 0:1
სლასკი-ლეხი .................. 2:1

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ლუნგბიუ .................. 1:0
ჰორსენსი-ვიბორგი .................. 0:3
კოპენჰაგენი-ოლბორგი .................. 1:0
ორხუსი-სილკებორგი .................. 1:1

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## ზვიგენის თავდასხმას ტურისტი ემსხვერპლა



წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ ახალ კალედონიაზე ზვიგენმა ავსტრალიიდან ჩასული ტურისტი დაგლიჯა.

59 წლის მამაკაცი ნაპირიდან 150 მეტრში ბანაობდა. მოულოდნელად მას თავს ზვიგენი დაესხა და რამდენჯერმე უკბინა. შედეგად ტურისტმა სერიოზული დაზიანებები მიიღო ფეხსა და ორივე ხელზე.

თავდასხმის ადგილის სიახლოვეს მყოფმა ორმა პიროვნებამ ავსტრალიელი თავიანთ ნავში აიყვანეს და ნაპირზე გადაიყვანეს. იქ მისი რეანიმირება ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლებმა სცადეს, თუმცა მათი ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

აღნიშნული ინციდენტი მრავალრიცხოვანი დამსვენებლების თვალწინ მოხდა, რამაც მათ შორის პანიკა გამოიწვია და სასწრაფოდ დაიწყეს წყლიდან ამოსვლა. პოლიციამ პლაჟიდან მათი ევაკუაცია განახორციელა.

ქალაქ ნუმეას მერმა სონია ლაგარდმა პლაჟების დიდი უმრავლესობის დახურვა და ვეფხვისებური და სხვა სახეობის ზვიგენების დაჭერა მოითხოვა. მტაცებელი თევზების მოსაძებნად დრონები იქნა გაშვებული და სპეციალისტებმა კუნძულის ახლოს ორი ზვიგენი დააფიქსირეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უვიცი, უცოდინარი ადამიანი; 2. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 5. ფრანგი მოდელიორი; 9. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში; 10. ფართო ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 14. წყლის შიში; 15. ძველი მონეტების კოლექციონერი; 16. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 19. ზებუნებრივი ძალების რწმენა; 20. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზაციაში დესტრუქციული ქმედებისთვის შეგზავნილი პირი; 7. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 8. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. საქართველოში მოგზაური მე-18 საუკუნის ფრანგი მხატვარი, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე; 12. კანადის დედაქალაქი; 13. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" დამფუძნებელი; 17. ლატვიის ძველი სახელწოდება; 18. კურორტ კარლოვი-ვარის გერმანული სახელწოდება; 22. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 23. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 24. თვალის ექიმი; 25. გეომეტრიული ფიგურა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ხვიჩია; 12. რაფსოდი; 14. პანედა; 15. აუდი; 17. ქანდა; 18. ეშხი.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. ჰაბანერა; 8. იგუასუ; 10. პედრი; 11. კასკადიორი; 13. აპელაცია; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. ფალსტაფი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სანიოლი; 2. ოფიცერი; 3. ლივერპული; 4. ბელუჩი; 5. ორვილე; 9. კანტე; 10. ასპექტი; 14. ინტენდანტი; 15. ქონდაქარი; 16. ელარჯი; 19. მალდივი; 20. ანგარი.

**თარაზულად:** 6. რატიფიკაცია; 7. მეტეორი; 8. კიბუცი; 11. მარჩილი; 12. კროსი; 13. დუბლეტი; 17. მონმარტრი; 18. პოლიგლოტი; 22. კნეთელი; 23. ჯომარდი; 24. კვესტურა; 25. ბირთვისი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

28 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6272 | ევრო — 2.7751 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1471 | 100 რუსული რუბლი — 3.4940 |

## ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისათვის




## მესიმ საკლუბო კარიერაში მე-700 გოლი გაიტანა



პსჟ-ს არგენტინელმა ლიონელ მესიმ მარსელს გოლი გაუტანა, რომელიც მისი საკლუბო კარიერისთვის მე-700 გამოდგა და ამ მხრივ მესიმ რეკორდი დაამყარა. პსჟ-მ მარსელს იოლად მოუგო და მესიმ გოლის გარდა, ორი საგოლე პასიც გააკეთა, რომლებიც კილიან მბაპემ იდეალურად გამოიყენა. მესიმ მატჩის შემდეგ თქვა, რომ ის მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს.

## ხავი: „ძალიან ცუდად ვითამაშეთ“



ბარსელონა სტუმრად ალმერიასთან დამარცხდა 0:1 და ხავის გუნდმა 10-ქულიანი ჰანდიკაპის შექმნის შანსი ხელიდან გაუშვა. მატჩის შემდეგ ხავიმ განაცხადა, რომ ბარსელონამ ძალიან ცუდად ითამაშა და ეს სეზონის ყველაზე ცუდი შეხვედრა იყო: „პირველ ტაიმში არც ვიბრძოდით. მეორეში მოტივაცია გაგვიჩნდა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შევძელით. წინ მნიშვნელოვანი მატჩები გვაქვს და ყურადღება გვმართებს, თუ ჩემპიონობა გვსურს“.

## ერიკ ტენ ჰაგი: „ჩვენ სწორ გზაზე ვართ“



მანჩესტერ იუნაიტედმა ნიუკასლი დაამარცხა ინგლისის თასის ფინალში, ანგარიშით 2:0 და სეზონში პირველი ტიტული მოიგო. თამაშის შემდეგ ერიკ ტენ ჰაგმა თქვა, რომ მისი გუნდი სწორ გზაზეა და მათ სხვა ტიტულების მოგებაც შეუძლიათ: „დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ ჩვენი ძალა და ვიცით, რომ უფრო მეტი შეგვიძლია. უნდა განვვითარდეთ და გულშემატკივარი გავახაროთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## დიდმა ხმალთევზამ მეთევზეთა ნავს ძრავა დაუზიანა



ავსტრალიაში მაშველები იძულებულნი გახდნენ, მეთევზეთა ნავი ჩაებათ და სანაპირომდე მიეყვანათ, მას შემდეგ, რაც 70-კილოგრამიანმა ხმალთევზამ მას ძრავა დაუზიანა.

კვირას, 19 თებერვალს, დაახლოებით დღის პირველ საათზე მეთევზეებმა მსხვილი ხმალთევზას ანკესზე წამოგება ახალი სამხრეთ უელსის სანაპიროდან დაახლოებით 30 კილომეტრში მოახერხეს. თუმცა შვიდმეტრიანი მეთევზეთა ნავისთვის ეს ნადავლი საბედისწერო აღმოჩნდა.

ხმალთევზამ თავისი მახვილი წვერით გახვრიტა ბრეზენტის შალითა და ნავის ძრავის თავსახური, რის შედეგადაც მას კვების წყარო გაეთიშა. სამაშველო ხომალდს სამსაათნახევარი დასჭირდა დაზიანებულ ნავამდე მისაღწევად და მის სანაპიროზე დროებით დოკამდე მისაყვანად. აღნიშნული შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

28 თებერვლისათვის



**ვერძი** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ქმარი კომპიუტერთან ზის, ცოლი მის გარშემო დაწრიალებს და სთხოვს, რომ კომპიუტერთან დასვას. ქმარიეუბნება:

– ძვირფასო, იქნებ სხვა გასართობი გამოგენახა შენთვის?!

– კი მაგრამ, როგორ უნდა მოვნახო სხვა გასართობი, როდესაც ჩემი ორი საყვარელი სათამაშო ერთმანეთს ეთამაშება?

•••

მთავრობის ხელმძღვანელი მინისტრებს საყვედურობს:

– თქვენ ძალიან ცუდად განუმარტავთ ხალხს ჩვენი რეფორმების არსს!

– თქვენი აზრით, ასე ადვილია შიშველ და მშიერ ადამიანებს აუხსნა, რომ ისინი მაძღრები და ამასთან ჩაცმულებიც არიან?

•••

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– უკაცრავად, შემდგომ ცეკვაზე მიწვეული ხართ?

– არა, ჯერ კიდევ თავისუფალი ვარ! – კეკლუცად პასუხობს ქალი.

– მაშინ ეს ლუდის კათხა დამიჭირეთ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ნუცა ბუზალაძემ „ამერიკის ვარსკვლავში“ ოქროს ბილეთი მოიპოვა

მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ დიდი ხნის ოცნება აისრულა – მონაწილეობა მიიღო „ამერიკის ვარსკვლავში“. ნუცამ 2 სიმღერა შეასრულა და ჟიურის წევრების დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა.




ქართველ მომღერალს ჟიურიმ „ჯენიფერ ლოპესი საქართველოდან“ უწოდა, მას ძალიან კარგი შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა და ოქროს ბილეთიც გადასცა.

## მატილდა გვარლიანი მილანის მოდის კვირეულის ჩვენებებში მონაწილეობს



ლონდონის მოდის კვირეულის შემდეგ, ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მილანის მოდის კვირეულში მონაწილეობს.

იტალიაში 2023 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციებს მსოფლიოში ცნობილი და ნაკლებად ცნობილი დიზაინერები წარმოადგენენ. მატილდამ უკვე წარმოადგინა დიზელის, გუჩის, ტომო კოიზუმის და სხვათა უახლესი კოლექციები.

ქართველ მოდელს დიზაინერები საკუთარი კოლექციების ჩვენებებში აქტიურად იწვევენ. იგი მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში დიდი პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს.

ლონდონის მოდის კვირეულზე მან დევიდ კომას, ჯულიენ მაკდონალდსის და სხვა დიზაინერების კოლექციები წარადგინა.

## დათო კენჭიაშვილი დედებს კონცერტს მიუძღვნის



მომღერალი დათო კენჭიაშვილი დედებს კონცერტს მიუძღვნის და 4 მარტს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მონატრებულ მსმენელს შეხვდება.

– დედას არ ვირჩევთ, ღმერთი გვარგუნებს და ის ჭეშმარიტად ღვთისაა. დედაჩვენი არასდროს გვაქებდა. ჩვენთვის ეს მოტივაცია იყო იმისი, რომ ყოველდღე უფრო და უფრო მეტი გაგვეკეთებინა საკუთარი თავის განსავითარებლად, ის,რომ დედა ჩვენით ამაყობდა, ჩვენ სულ ბოლოს გავიგეთ. მოვეფეროთ დედებს, – ამბობს მომღერალი.

„დედა ღვთისაა“ – ასე უწოდა თავის კონცერტს მომღერალმა. მასთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგება მისი და თათია კენჭიაშვილი. და-ძმა კონცერტს გარდაცვლილ დედას უძღვნის.

ყველა დროის ყველაზე სასურველი და ყველასთვის ახლობელი ქართველი მომღერალი 200 მილიონზე მეტი მაყურებლით იუთუბ არხზე... ფილარმონიის დიდ სცენას დაუბრუნდება. დათოს შემოქმედება ქართულ ფოლკლორს ეყრდნობა, თუმცა ზოგადსაკაცობრიო მუსიკალური მიმდინარეობაა – კავკასიური ვოკალისა და ალტერნატიული მუსიკის სინთეზით.

დათო და თათია კენჭიაშვილების კონცერტზე დაუკრავს ბენდი „ექსპერიმენტი“. მსმენელის წინაშე წარდგება დათო კენჭიაშვილის მოსწავლეების ანსამბლი „თაობა“. საკონცერტო პროგრამაშია ქართული, ეროვნული და საესტრადო საკრავებზე აჟღერებული მელოდიები, დათოს უკვე ცნობილი და ყველასთვის საყვარელი სიმღერები და, რა თქმა უნდა, პრემიერებიც.

## სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიას მანანა დოიჯაშვილის სახელი მიენიჭა



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელიც სამუსიკო სემინარიისთვის მისი დამაარსებლის, ღვაწლმოსილი მუსიკოსის, მანანა დოიჯაშვილის, სახელის მინიჭებას მიეძღვნა.

კონცერტში მონაწილეობდნენ სემინარიის მოსწავლეები, კურსდამთავრებულები, სემინარიის ჩასაბერ საკრავთა ანსამბლი და მოსწავლეთა გუნდი არჩილ უშვერიძის ხელმძღვანელობით. საღამოზე არაერთი ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები შესრულდა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარია – 11-წლედი მანანა დოიჯაშვილის ინიციატივით კონსერვატორიის ბაზაზე 2010 წელს დაარსდა, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. სახელოვანი პიანისტის ძალისხმევით სამუსიკო სემინარიაში შეიქმნა სრულყოფილი სამუსიკო განათლების მოდელი. ასეთი ეფექტური და ნაყოფიერი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება მანანა დოიჯაშვილის ცხოვრების მიზანი იყო და მან ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო.

სემინარიაში განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სწავლობენ. მათთვის იმავე შენობაში გახსნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა – „ჩვენი სკოლა“. სემინარიაში ბავშვები სწავლობენ საშემსრულებლო (ფორტეპიანო, სიმებიანი, ჩასაბერი, დასარტყამი ინსტრუმენტები) და საგუნდო-სადირიჟორო ხელოვნებას, მუსიკის თეორიასა და ისტორიას, კომპოზიციას. სპეციალურ მუსიკალურ საგნებს სემინარიაში კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და ახალგაზრდა პედაგოგები ასწავლიან.

2012 წლიდან სემინარიაში მოქმედებს პროექტი „პანსიონი“. სამუსიკო სემინარიასა და „ჩვენს სკოლაში“ თბილისელ მოსწავლეებთან ერთად სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ნიჭიერი ბავშვები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მუსიკალური სკოლა ან სახელოვნებო სკოლა მუსიკის განხრით. მოსწავლეებს საშუალება აქვთ უფასოდ იცხოვრონ თბილისში და მიიღონ უფასო მუსიკალური და ზოგადი განათლება. ბავშვები ცხოვრობენ საგანგებოდ შერჩეულ ოჯახებში. უპირატესობა ენიჭება პროფესიონალ მუსიკოსთა ოჯახებს.

„პანსიონის“ პროგრამით სემინარია უკვე 11-მა მოსწავლემ დაამთავრა და ყველა კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. რამდენიმე უკვე სხვადასხვა ორკესტრშიც უკრავს, ზოგი კი კონსერვატორიის გაცვლითი პროგრამით სწავლას საზღვარგარეთ აგრძელებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილი*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 3. სამონასტრო კომპლექსი რაჭაში; 4. მძიმე, გარდამავალი პერიოდი; 5. გემის ავარიის, ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 9. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. ცხენებშებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად:** 6. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 7. მაღალი კლასის იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 8. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 10. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 11. შუშხუნა ღვინოების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. რთული, სადავო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტ; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*